

მ ო გ ზ ს უ რ ი

ისტორიულ — არქეოლოგიური და გეო —
გრაფიკულ-ეტნოგრაფიული სურათებიანი
ჟურნალი, გამოვა ყოველისთვის ჰერკულ რიცხვებში.

ფასი ჟურნალისა კავსაგნათ:

წლით — ხუთი მანეთი, ნახევარ წლით — სამი მანეთი.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს: *Въ Тиф.масо,*
Редакцію „МОГЗСУРИ“.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება წერა-კითხვის გამავრ-
ცელებელის საზოგადოების მაღაზიაში შიო ქუჩუკაშვილთან,
ძმათა იმედაშვილების წიგნის მაღაზია, „ნდობის“ წიგნის მა-
ღაზიაში (ქვაშვეთის გიორგის ქუჩაზე), დავით გაბრუაშვილ-
თან „პურ-ღვინოს“ გვერდზე და თვითონ რედაქტორთან
(მამა დავითის მეიდანზე, სახლი № 20).

ხელის მომწერთა საშუალებოდ:

„მოგზაურის“, ყოველ ხელის-მომწერს აქვს უფლება დაბე-
ჭდეს ამ ჟურნალში უფასოდ ყოველ-გვარი განცხადება, არა უქუტეს
სახეგარის გვერდისა.

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

P-53325

თ ბ ი ლ ი ს ი

სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, ლორის-მელიქოვის ქუჩა, № 28.

1902



შინაარსი № 6:

	გვერ.
1. თანამედროვე ისტორიის ტენტენციები, ალ. მდ—ნისა	337.
2. მთიულთ ცხოვრებიდამ, ე. გუგუშვილისა	352.
3. სვანეთი, მღვდ. ი. მარგიანისა	364.
4. კლარჯეთ-მესხეთის აღწერა, ზ. ჯ.—ძისა	372.
5. მოკლე ისტორია სომხეთისა, თარგ. მ. ჩოგოვაძისა	386.
6. კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი და მისი გვარის შტო, ზ. ჯ.—ძისა	390.
7. ბიბლიოგრაფია: სალიტერატურო ქართული (სილოვან ხუნდაძის გამოკვლევა), ი. აბულაძისა	394.

**წარსული წლის „მოგზაურის“ ეველა ნომრები, კარგის
ედათ და წარწერათ ღირს გაგზავნით სამი მანეთი.**

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2-го Мая, 1902 года.

თანამედროვე ისტორიის ტენდენციები *).

მე-XIX საუკუნე დასაწყისია ახალის დროისა: ამ საუკუნის განმავლობაში ტრადიციული უფლებები ჰკარგავენ მნიშვნელობას და ცოტათ თუ ბევრათ სახელმწიფოური უფლება ვრცელდება ახალ საზოგადოებრივ კლასთა შორის. დემოკრატიული იდეა დღე დღეზე უფრო ვრცელდება და წინანდელ პირობების ძირითად ცვლილებას ახდენს გაბატონებულ კლასთა წინააღმდეგობის მიუხედავად... ამას ვხედავთ ჩვენ საზოგადოების ცხოვრებაში მე-XIX საუკუნის განმავლობაში. რაც შეეხება მეცნიერულ სფერას—ტყუილად ვიარეძახიან მე-XIX საუკუნეს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საუკუნეს. საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა განვითარებამ ორი დიადი იდეა მოგვცა, რომლებითაც სარგებლობს დღეს თითქმის ყველა მეცნიერებათა წარმომადგენელი. ეს

*) გამოუკვეველ მდგომარეობაშია ჩვენი ისტორია, რომლის სფერაში თამამათ უკანობს თავს ეგვიპტე, მიუხედავად იმისა, შეუსწავლია თუ არა ეს ანთული და საინტერესო მეცნიერება. ისტორია ჩვენში ხელსახტია: ეგვიპტე მას ეპოტინება, ეგვიპტე დათარეშობს, დანავარდობს მის სფერაში. იმ რწმენამდინაც მივიდნენ ჩვენში, რომ ისტორიის თანდათანობით, რკალურ შესწავლას უარს ჰყოფენ, თუმცა იმავე დროს ამ მეცნიერების სახელით და მიხედვით ბევრს რამეს გვიშტკიცებენ და გვიქადაიან. მაგრამ ხშირად მათა ისტორიის მრწმობა სიმართლეს მოკლებულია, სინამდვილესკან დაშორებულია... ხანდისხან არა სასურველ წარმოდგენებს ავრტყავენ ამ მეცნიერების ამა თუ იმ მიმართულებას შესახებ. უკანასკნელ შემ-

იდეები შემდეგია: ერთი—იდეა კანონისა, მეორე—იდეა გან-
ვითარებისა. ამ ორ იდეაზე აშენებენ დღეს ყველა მეცნიე-
რულ ნაწარმოებს. არ იქნება, მგონი, უადგილო აქ ორიოდ
სიტყვით აღვნიშნოთ, ვის ეკუთვნის საპატიო მამის სახელი
ამ მოძრაობისა საბუნების-მეტყველო მეცნიერების სფერაში.
1810 წ. კიუვიე (Cuvier), დამფუძნებელი მეცნიერულის პა-
ლეონტოლოგიისა, ამბობდა, რომ „დედა-მიწის თვითეული
გეოლოგიური პერიოდი ადგილს უთმობდა მეორეს არა თან-
და-თანობით, როგორც ეს მიღებულია თანამედროვე მეცნიე-
რების-მიერ, არამედ დამოუკიდებლად: ხდებოდა რაღაც კა-
ტასტროფა, დედა-მიწაზე მთელი ცხოვრება ჩერდებოდა,
სწყდებოდა; იღუპებოდა ფლორა და ფაუნა; როდესაც ბუ-
ნების დამატკევეარი ძალები დამშვიდდებოდა, დაიწყებოდა
შექმნის ახალი ეპოქა: მყარდებოდა ახალი ცხოვრება, ჩნდებ-
ოდნენ მცენარეები და ცხოველები, რომლებსაც არავითარი
გენეტიური შემადრთებელი ძაფი არ ჰქონდათ წინანდელ პე-
რიოდის ტიპებთან“. თეორია კიუვიესი დაემხო საბუნების-
მეტყველო მეცნიერების განვითარების ზეგავლენით. დარვინის
გამოკვლევებმა ბოლო მოუღეს მას. დარვინის თეორიამ
„დაამტკიცა“ ორგანიულ ქვეყნიერობის განვითარების თან-და-

თხვევაში ყოველ მიუდგომელ ადამიანის მოვალეობაა მკითხველი
სასოკადოებს წინასწარ შეძლებისა-და-გვარად სიმართლე ადადგინოს.
ამ უამართ ხვევს გვსურს გავაცნოთ მკითხველი თანამედროვე ისტო-
რიის ტენდენციების და მათ ავადანდოთ მას ერთმხრივი თეორიები,
რომლებსაც შესახებ ბევრს ღაზანაკობენ და სწერენ ჩვენში. რასა-
კვარველია, მოკლე სტატიაში, ჩვენ ვერ შევძლებთ საკსებით ნათე-
ლა მოვიყვანოთ ამ შეტად საანტერესო კითხვას, მაგრამ ჩვენ იმა-
თად ვმყოფილა ვაქებით, თუ ცოტათი მაინც დავანახებთ მკით-
ხველს სანამდაღასკენ მიმავალს გზას. აქ ისიც უნდა შევნიშნო,
რომ ეს სტატია გადმოკეთებული-შედგენილია ჩვენ მიერ ქართულ
მკითხველთათვის.

ავტ.

თანობა“; დაამტკიცა აგრეთვე, რომ ამ განვითარებას თავისი კანონი აქვს და, როგორც ფიქრობდა კიუვიე, სრულებით „ბუნების ცელქობასა და თამაშობაზე“ არ არის დამყარებული დედა-მიწის და ორგანიულ საგნების ცხოვრება; ცხადია არსებობს დედა-მიწის ცხოვრების სხვა-და-სხვა პერიოდებსა და მათ ფლორა-ფაუნას შორის გენეტიური დამოკიდებულება...

საბუნების მეტყველო საგნების განვითარებამ ძირითადი ცვლილება მოახდინა საზოგადოთ მეცნიერების სფერაში. ზემოხსენებულ ორი დედაზედ არის დამოკიდებული თანამედროვე საზოგადო მეცნიერების შინაარსის და მიზნების გამორკვევა. დღეს ცხოვრების რომელიმე კითხვის გადასაწყვეტათ საჭიროა მეცნიერულ შეხედულებით ვხელმძღვანელობდეთ. ამხელ უფრო სამართლიანი საზომი ჩვენ სხვა არა გვაქვს და ამიტომ მეცნიერული შეხედულების შეტანა ცხოვრების კითხვათა გადაწყვეტაში ჩვენის საუკუნის ერთ ძვირფას შენაძენად უნდა ვაღიაროთ. ამგვარი მიმართულება პრაქტიკულ მოღვაწეობაშიაც გამოგვადგება. დამეთანხმები, მკითხველო, რომ ეს სამართლიანი აზრია. მხოლოდ ამ საშუალებით შეგვიძლია გადავწყვიტოთ კითხვები, რომლებიც ცხოვრებამ წამოაყენა და რომლებსაც ჩვენ გვერდს ვერ ავუქცევთ. ჩვენ ძრიელ დაინტერესებული ვართ საზოგადოების ცხოვრებით, მისი საქმეებით, ყოველდღიური ვარამით. თანამედროვე სინამდვილე გვაწუხებს, გვადლევა; მას ბრძოლის ასპარეზზე ვამოვყვართ; გვინდა გზა გავიგნოთ ამ სინამდვილეში; მოწადინებული ვართ საზოგადოებრივი მოვლენანი გავარკვიოთ, შევიგნოთ. ამისთვის კი საჭიროა აღჭურვილი ვიყოთ ვარკვეულის თეორიულის შეხედულებით, რადგანაც მხოლოდ ამ გზით შეგვიძლია ნათელი მოვფინოთ საზოგადოების ცხოვრებას, მის-მიერ წამოყენებულ კითხვებს; მხოლოდ მაშინ გვაქვს ნება პრაქტიკული დამოკიდებულება ვიქონიოთ საზოგადოების საქმეებთან. „საჭიროა ვიცოდეთ“, — ამბობს ერთი

ისტორიკოსი -- „სად არის ქეშმარიტება და სად ილიუზია, სად არის რეალური აზრი და სად უტოპია?“ ჩვენი უბედურებაც იმაში მდგომარეობს, რომ ვერ გავგივია „სად არის ქეშმარიტება და სად ილიუზია, სად არის რეალური აზრი და სად უტოპია?“ „არასოდეს არ ყოფილა საზოგადოებრივ შეხედულებებში იმდენი უთანხმოება, არასოდეს არ ყოფილა პასუხები ამ კითხვებზე იმდენათ სხვა-და-სხვა გვარი, როგორც დღეს. საზოგადოებრივი პრინციპები, თეორიები და მრწამსები, რომლებიც ეგრე აღვიღათ და გასაგებათ ხსნიდნენ საზოგადო მოვლენებს, ცხოვრების და მეცნიერების წინსვლით სავსებით უარყოფილია“. აქ გასაკვირველი არა არის რა: ცხოვრება და თეორია ერთი-მეორეს დაშორდნენ, რადგანაც პირველი უფრო რთულია მეორეზე. გარდა ამისა ცხოვრება წინ მიდის, მეცნიერებაც თან-და-თან ვითარდება. რაც გუშინ გვწამდა, დღეს უარ-ვეყოფთ. ძველი შეხედულებანი ფასს ჰკარგავენ; ძველი მსოფლიო წარმოდგენა დაიქცა, დაიმხო და ჯერ-ჯერობით ვერ შესძლეს გამორკვეული მთელი მსოფლიო წარმოდგენის წამოყენება. „ფილოსოფიამ დაჰკარვა კრედიტი; გეგელის სკოლის თავისი-თავის უარყოფა“, — ამბობს პროფ. პეტრი, — „იყო სასიკვდილო ჭრილობა ფილოსოფიისთვის. გადაარჩენილ ფილოსოფოსთა ძახილი უკან დაბრუნებისა და კანტის სკოლის დროშის გარშემო მოწოდება თავ-მოყრის შესახებ, უნაყოფო შეიქმნა. დრომ დაარღვია და უკიდურეს მატერიალიზმის პერიოდის მღელვარე, აღქაფებულმა და ამღვრეულმა ზვირთებმა სამუდამოთ ჩამორეცხეს და დაანგრის ის საპატიო შენობა, რომლის აღდგენაზე შრომობდნენ საუკეთესო ჰკუები კაცობრიობისა... გათავდა პერიოდი უკიდურესი მატერიალიზმისა; ჩავარდა ქარი; დაწყნარდა ზვირთები; ჩვენ წინ უშველებელი წყლის სივრცეა... მიუხედავად ამისა იგი არ არის დამდგარი, დაგუბებული წყალი; ის მოძრაობს, ის შრომობს. მაგრამ ეს ვეება ბაღვა კერძო ხეების და წყაროებისა და არ არის ის ცხოველ-მყო-

აზრი გამოვსთქვით. ეს აზრი არ არის ვრცელი და ჩვენ კი უნდა გამოვარკვიოთ, როგორ მივიდნენ ამ აზრამდის.

Tempora mutantur, et nos mutamur in illis, — სთქვა ერთმა ცნობილმა რომაელმა. მას აქეთ არა ერთმა საუკუნემ განვიღო და ჩვენ კი მიუხედავად ამისა ვიმეორებთ ამ სიტყვებს. დრონი იცვლებიან, უკეთ რომ ვსთქვათ, ცხოვრებია თვის თანდათანობით წინსვლაში სხვა-და-სხვა კითხვებს აყენებს, ჰბადებს და ჩვენ კი ამ კითხვათა მიხედვით ვზომავთ წარსულს, აწმყოს და მომავალს. თუ კი ადამიანი ცოტა-ოდნავ მაინც იცნობს ისტორიულ მეცნიერებას, არ შეუძლია არ აღიაროს ცხოვრების და ისტორიულ მეცნიერების ერთიმეორესთან დამოკიდებულება. ისტორია თითქმის ყოველთვის პრაქტიკულ მიზნებს ემსახურებოდა. ისტორია და ცხოვრება გადახვეული იყვნენ და არიან, ვითომ და და-ძმა; ერთიმეორეს, როგორც შეყვარებულნი, არ შორდებოდნენ და არ შორდებიან. მათი დაცალკეევა შეუძლებელია. „მე-XVIII საუკუნის რაციონალისტი ისტორიაში პოულობდა თვის უარყოფათა საბუთებს, რომანტიკი-რეაქციონერი—თვის რწმენათა დამამტკიცებელს, ბურჟუაზიული მონარხის დროის ლიბერალი კი—მესამე წოდების უფლებათა და მისწრაფებათა დამასაბუთებელ არგუმენტებს“. წარსული ყველასათვის ენციკლოპედიური ლექსიკონი იყო და არის. ყველას შეჰქონდა წარსულში თვისი დროის ვარამი, ყველა იქ ხედავდა რაც სჭირდებოდა და სურდა ენახა იმ დროის და საზოგადოებრივი ჯგუფის მიხედვით, რომელსაც თვითონ ეკუთვნოდა. თუ ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ „პრაქტიკული ცხოვრების კითხვათა დაბადება იწვევდა და იწვევს ახალ და ახალ მიმართულებათა გაჩენას ისტორიულ მეცნიერებაში“. ამასთან ერთად-ერთს მეტად საინტერესო და საგულისხმო მოვლენას ვამჩნევთ: თვითეული მიმართულება ისტორიაში იმ გზას აღდა, რომ „ისტორიულ ცხოვრების უმთავრეს და ძირითად შინაარსს, ისტორიულ მეცნიერების შესწავლის უმთავრეს და ძი-

რითაღ საგნად სთვლიდა თვისი მეცნიერების დროებითს შინაარსს“. იყო დრო, როცა იურიდიულ და პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორია შეადგენდა ისტორიულ მეცნიერების უმთავრეს შინაარსსა. ჩვენ დროში სოციალური და ეკონომიური კითხვები ქვაკუთხედად გადაიქცნენ. ამ ცხოვრების-მიერ წამოაყენებულმა კითხვებმა მოახდინეს ღრმა არეულობა ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიკოსებმა უარჰყვეს ძველი ვზა და მიზანი. უმთავრესი ყურადღება საზოგადოებათა ეკონომიური და სოციალური მხარეების გამორკვევამ და შესწავლამ მიიქცია. საზოგადოებათა ოჯახური ორგანიზაცია და კლასთა ბრძოლა, აი რის შესწავლამ დაიკავა დღეს უპირველესი ადგილი. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის ხანაა, რომელმაც თვალსაჩინოთ გახადა ეკონომიური მოტივის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში. აქედან დაიბადა ის უკიდურესი მიმართულება, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში „ეკონომიურ“ ან და „ისტორიულ მატერიალიზმის“ სახელით მოინათლა. დაჰბადა აზრი, რომ „საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა არის მისი რეალური საფუძველი“, რომ „ეს არის ისტორიული მოძრაობის ჩარხი; ამაზეა აშენებული საზოგადოების ცხოვრების მთელი დანარჩენი შინაარსი“. „ჩვენი მიმართულება (ეკონ. მატ.), — ამბობს ენგელსი, — უყურებს პოლიტიკურ და იურიდიულ მოძრაობებს, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ პირობებს, როგორც ზედნაშენებს (überbau), საფუძველს-კი შეადგენენ ეკონომიური პირობები. ეპოქის ისტორია მის ფილოსოფიაში კი არ მდგომარეობს, არამედ მის ეკონომიაში“. ამ დრომდის კი ისტორიულ მეცნიერებაში მეფობდა ეგრედ წოდებული „ისტორიული იდეალიზმი“. „ისტორიის უმთავრეს შინაარსს შეადგენენ“, — ამბობდნენ ამ მიმართულების წარმომადგენლები, — „იდეები“; ისინი აძლევენ მიმართულებას ისტორიულ პირთ შეგქმნელ ძალას და განაგებენ მოვლენებს“. „ისტორიული მატერიალიზმი“, ან და, როგორც ის თავის თავს ეძახის, „ეკონომიური მატე-

რიალიზმი“ არის პროტესტი „ისტორიულ იდეალიზმისა“. ჩვენ არ გვაქვს აზრათ სავსებით გავაცნოთ მკითხველი არც „იდეალიზმს“ და არც „მატერიალიზმს“. ჩვენ გვსურდა მხოლოდ ორიოდ სიტყვით აღგვენიშნა ამ მიმართულებათა შინაარსი. აქ ორივე მიმართულებათა ერთი თვისება უნდა განოვარკვიოთ მხოლოდ. როცა რამე ახალი მიმართულება ჩნდება, მისი წარმომადგენლები ცდილობენ ყოველთვის თავიანთის მიმართულების ფილოსოფიურად დასაბუთებას. საზოგადო კანონს ვერ ასცდნენ „იდეალიზმი“ და „მატერიალიზმი“. „ორივე მიმართულებამ,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—არ დააყოვნეს თავისი ფილოსოფიური დასაბუთება. რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდათ თავის მეცნიერების გარდაწვალ, დროებით შინაარსისთვის მიენიჭებიათ უსათუო, აბსოლიუტური მნიშვნელობა“. ამ ორ მიმართულების წარმომადგენელთა შორის მკაცრი ბრძოლა იყო. დღეს ეს ბრძოლა დასრულებულია. ორივე მიმართულებამ ერთი-მეორეს პატივისცეს. საქმე კომპრომისებით გათავდა. როგორც უმეტესი ნაწილი ისტორიკოსებისა ამბობენ „ამ ორ მიმართულებათა ბრძოლა არის მხოლოდ ბრძოლა ორ აპრიორულ და მეტაფიზიკურ სისტემათა შორის; ორივე სისტემა არამეცნიერულია; არც ერთი მათგანი არ ემყარება ფაქტების მეთოდურ და ყოველმხრივ შესწავლაზე“; უამისოთ კი საზოგადოების განვითარებას და ძის ყოფა-მდგომარეობას ვერ დავახასიათებთ. უნდა აღენიშნოთ, რომ თანამედროვე ცხოვრებამ და მეცნიერებამ წამოაყენეს „ძირითადი კითხვები ისტორიულ ფაქტორთა (მატერიალურ და იდეალურ) შედარებით მნიშვნელობის შესახებ“. „ამ კითხვათა აპრიორული და მეტაფიზიკური გადაწყვეტა,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—არათფერს არ ამბობ თვით კითხვების შესახებ და მათ წამოყენების უფლებაზე. თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ შეუძლია უარ-ჰყოს ეს საზოგადო კითხვები, თუ კი არ მოისურვებს კავშირის შეწყვეტას ცხოვრებასთან“...

რითაღ საგნად სთვლიდა თვისი მეცნიერების დროებითს შინაარსს“. იყო დრო, როცა იურიდიულ და პოლიტიკურ დაწესებულებათა ისტორია შეადგენდა ისტორიულ მეცნიერების უმთავრეს შინაარსსა. ჩვენ დროში სოციალური და ეკონომიური კითხვები ქვაკუთხედად გადაიქცნენ. ამ ცხოვრების-მიერ წამოყენებულმა კითხვებმა მოახდინეს ღრმა არეულობა ისტორიულ მეცნიერებაში. ისტორიკოსებმა უარჰყვეს ძველი ვზა და მიზანი. უმთავრესი ყურადღება საზოგადოებათა ეკონომიური და სოციალური მხარეების გამორკვევამ და შესწავლამ მიიქცია. საზოგადოებათა ოჯახური ორგანიზაცია და კლასთა ბრძოლა, აი რის შესწავლამ დაიკავა დღეს უპირველესი ადგილი. მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარი ის ხანაა, რომელმაც თვალსაჩინოთ გახადა ეკონომიური მოტივის მნიშვნელობა კაცობრიობის ცხოვრებაში. აქედან დაიბადა ის უკიდურესი მიმართულება, რომელიც ისტორიულ მეცნიერებაში „ეკონომიურ“ ან და „ისტორიულ მატერიალიზმის“ სახელით მოინათლა. დაჰბადა აზრი, რომ „საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა არის მისი რეალური საფუძველი“, რომ „ეს არის ისტორიული მოძრაობის ჩარხი; ამაზეა აშენებული საზოგადოების ცხოვრების მთელი დანარჩენი შინაარსი“. „ჩვენი მიმართულება (ეკონ. მატ.), — ამბობს ენგელსი, — უყურებს პოლიტიკურ და იურიდიულ მოძრაობებს, ლიტერატურულ და ფილოსოფიურ პირობებს, როგორც ზედნაშენებს (überbau), საფუძველს-კი შეადგენენ ეკონომიური პირობები. ეპოქის ისტორია მის ფილოსოფიაში კი არ მდგომარეობს, არამედ მის ეკონომიაში“. ამ დრომდის კი ისტორიულ მეცნიერებაში მეფობდა ვგრედ წოდებული „ისტორიული იდეალიზმი“. „ისტორიის უმთავრეს შინაარსს შეადგენენ“, — ამბობდნენ ამ მიმართულების წარმომადგენლები, — „იდეები“; ისინი აძლევენ მიმართულებას ისტორიულ პირთ შემქმნელ ძალას და განაგებენ მოვლენებს“. „ისტორიული მატერიალიზმი“, ან და, როგორც ის თავის თავს ეძახის, „ეკონომიური მატე-

რიალიზმი“ არის პროტესტი „ისტორიულ იდეალიზმისა“. ჩვენ არ ვვაქვს აზრათ სავსებით გავაცნოთ მკითხველი არც „იდეალიზმს“ და არც „მატერიალიზმს“. ჩვენ გვსურდა მხოლოდ ორიოდ სიტყვით აღგვენიშნა ამ მიმართულებათა შინაარსი. აქ ორივე მიმართულებათა ერთი თვისება უნდა განოვარკვიოთ მხოლოდ. როცა რამე ახალი მიმართულება ჩნდება, მისი წარმომადგენლები ცდილობენ ყოველთვის თავიანთის მიმართულების ფილოსოფიურად დასაბუთებას. საზოგადო კანონს ვერ ასცდნენ „იდეალიზმი“ და „მატერიალიზმი“. „ორივე მიმართულებამ,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—არ დააყოვნეს თავისი ფილოსოფიური დასაბუთება. რასაკვირველია, მხედველობაში ჰქონდათ თავის მეცნიერების გარდაწვალ, დროებით შინაარსისთვის მიენიჭებიათ უსათუო, აბსოლიუტური მნიშვნელობა“. ამ ორ მიმართულების წარმომადგენელთა შორის მკაცრი ბრძოლა იყო. დღეს ეს ბრძოლა დასრულებულია. ორივე მიმართულებამ ფრთი-მეორეს პატივისცეს. საქმე კომპრომისებით გათავდა. როგორც უმეტესი ნაწილი ისტორიკოსებისა ამბობენ „ამ ორ მიმართულებათა ბრძოლა არის მხოლოდ ბრძოლა ორ აპრიორულ და მეტაფიზიკურ სისტემათა შორის; ორივე სისტემა არამეცნიერულია; არც ერთი მათგანი არ ემყარება ფაქტების მეთოდურ და ყოველმხრივ შესწავლაზე“; უამისოთ კი საზოგადოების განვითარებას და მის ყოფა-მდგომარეობას ვერ დაეხასიათებთ. უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ცხოვრებამ და მეცნიერებამ წამოაყენეს „ძირითადი კითხვები ისტორიულ ფაქტორთა (მატერიალურ და იდეალურ) შედარებით მნიშვნელობის შესახებ“. „ამ კითხვათა აპრიორული და მეტაფიზიკური გადაწყვეტა,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—არაფერს არ ამბობ თვით კითხვების შესახებ და მათ წამოყენების უფლებაზე. თანამედროვე ისტორიულ მეცნიერებას არ შეუძლია უარ-ჰყოს ეს საზოგადო კითხვები, თუ კი არ მოისურვებს კავშირის შეწყვეტას ცხოვრებასთან“...

ჩვენ ზემოთ ჩამოვთვალეთ მეცნიერებანი, რომლებსაც შესწავლის ობიექტად საზოგადოების ცხოვრება აქვსთ და განგებ არ დაეასახელეთ ერთი მათგანი. ეს მეცნიერება სოციოლოგია გახლავს. ყველამ კარგათ იცის, რომ საერთო მეცნიერულ მოძრაობის გავლენის გამო დასავლეთ ევროპაში დაიბადა და განვითარდა „აზრი საზოგადოებრივ მეცნიერების შესახებ, ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების შესახებ“. გაჩნდა ახალი მეცნიერება სოციოლოგია. სოციოლოგიით ბევრია დღეს გატაცებული. სოციოლოგიური ლიტერატურა თან-და-თან ვითარდება ამ ბოლო რდოს. უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციოლოგიის მნიშვნელობა ძრიელ გაზვიადებულია. სოციოლოგია იმოდენათ ახალგაზდა მეცნიერებაა, რომ შეუძლებელია ჩვენთვის მოველოდეთ მისგან ნამდვილ მეცნიერულ დასკვნების შედეგებს. „საზოგადოებრივი მეცნიერება, — ამბობს ლეტურნო, — ჯერ სიყმაწვილეშია: კანონების დადგენა მის ძალებს აღემატება“. მიუხედავად ამისა ბევრი იმ აზრისაა, რომ ვითომდა სოციოლოგია ისტორიის მომსპობელი შეიქმნა. როგორც მეცნიერებამ ისტორიამ უნდა დაუთმოს ადგილი სოციოლოგიას, — ამას ამბობს დღეს არა ერთი. ჩვენის აზრით კი სოციოლოგია ვერ მოუსპობს ისტორიას არსებობის უფლებას. სოციოლოგიას მიზნათ აქვს ადამიანთა საზოგადოებათა განვითარების კანონები შეისწავლოს. ამასვე ემსახურება თანამედროვე ისტორია. წინათ ისტორია აღწერილობითი მეცნიერება იყო; სახელი იმ დროისა დარჩა და შინაარსი კი გამოიცვალა. დღეს სახელი მეცნიერებისა და მისი შინაარსი ერთი-მეორეს ეწინააღმდეგება; აიხსნება ეს მხოლოდ კაცობრიობის ცოდნათა პროგრესით, და ამიტომ უაზრობა იქნება ძველი ტერმინი ახლის ტერმინით გამოვსცვალოთ; თუ გინდ რომ გამოვსცვალოთ, ამით მეცნიერება არ დაიღუპება; იმ რწმენამდის მივალთ, რომ ისტორიას სოციოლოგიის სახელი დაერქმევა, თუ მაინც და მაინც საჭიროა ახალი ტერმინი. აქ კი უნდა შევნიშნოთ,

რომ სოციოლოგებმა „ევრედ წოდებულ საზოგადოების ემბრიოლოგიის ძველ კულტურის შესწავლისთვის ბევრი რამ გააკეთეს“. საზოგადოთ სოციოლოგიური მოძრაობა უნაყოფო არ ყოფილა. ამ მოძრაობის შედეგები ცხადია. „სოციოლოგიურმა მოძრაობამ გარკვევით წამოაყენა კითხვა საზოგადოებრივი ევოლიუციის და მის კანონების შესახებ და შექმნა ეს კითხვა საზოგადოებრივ მეცნიერების ძირითად საგნად, უკანასკნელ მიზნად“. ამგვარმა შეხედულებამ სოციოლოგიის დანიშნულებაზე გავლენა იქონია უფრო ძველ მეცნიერებაზე — ისტორიაზე. „ისტორიას დღეს შეუძლია დასდგეს რეალურ შესწავლის მაგარ ნიადაგზე და თავის მფლობელობის ხასიათი ნათლად გამოარკვიოს“. ევოლიუციონურს, თვალთა ხედვის ისარი დღეს ყველასათვის სავალდებულოა. ისტორიამ უნდა მიიღოს მხედველობაში და უნდა ისარგებლოს ამ თვალთა ხედვის ისრით. უკანასკნელი ყოველ მოვლენაში ხედავს ყველა ძალების შედეგს, და თუ ამ გზას დაადგა ისტორია, მაშინ სამუდამოთ მოშორდება ერთმხრივ შეხედულებებს, რომლებიც ცხოვრების კითხვათა დაბადების მიხედვით ჩნდებოდა ისტორიულ მეცნიერებაში. დღეს ისტორია ევოლიუციონური და სოციოლოგიური თვალთა ხედვის ისრით სარგებლობს ისტორიულ მასალების შესასწავლად. მასალებს ისტორია ისტორიულ-შედარებითის მეთოდის შემწეობით სწავლობს. მეთოდი, რომლის შემწეობით შეიძლება გამოვარკვიოთ ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონები, განსაზღვრილი იყო სოციოლოგიის დამფუძნებლის-მიგრ. ოგიუსტ კონტმა, პოზიტიურ ფილოსოფიის დამაარსებელმა, პირველ ადვილზე ინდუქტია წამოაყენა. ინდუქტიურს მეთოდს იმ დასკვნამდის მივყევართ, რომ სხვა-და-სხვა ხალხებს, რომლებთაც არც ჩამომავლობა აქვთ ერთი, არც ენა და არც რწმენანი, იაფიანთ ყოფა-ცხოვრებაში ათასგვარი საზოგადო, საერთო თვისებები აქვთ. ამ საზოგადო თვისებების პარალელური შესწავლა ბუნებითია. სხვა-და-სხვა ხალხთა ცხოვრების

ერთგვარ მოვლენათა შესწავლა კონტმა შედარებითი მეთოდის საშუალებით გვიჩვენებს. ეს მეთოდი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სახელით მოიხსენიება. ჩვენ არ შევალთ აქ იმის განხილვაში, თუ რაში მდგომარეობს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გზით შეგვიძლია მივალწიოთ სერიოზულ შედეგებს. თავდაპირველად ისტორიამ უნდა შეიგნოს საზოგადოების ცხოვრების ყოველივე მოვლენა; ფაქტები კონკრეტულად, ინდივიდუალურად და ინტესიურად უნდა შეისწავლოს და ამის შემდეგ გვექნება საშუალება ნამდვილ, გამორკვეულ მეცნიერულ ნასკვებს მივალწიოთ. თანამედროვე ისტორიკოსები ამ გზას ადგანან და ხმა-მალლად გაიძახიან: „საზოგადოებრივი მეცნიერება მხოლოდ ისტორიის საშუალებით მიიღებს არსებობის უფლებას, მხოლოდ ისტორია მისცემს მას ხორცს და სისხლს და მაშინ ის არ იქნება მკრთალ აბსტრაგციათა სისტემა... მხოლოდ ისტორიას შეუძლია მეცნიერულად დააყენოს და გადასწყვიტოს სოციალური პრობლემები“... სოციოლოგიური თვალთა ხედვის ისარი, სპეციალური, კერძო გამოკვლევათა ფრთხილი გზა — აი ისტორიულ პროცესის საფუძვლით შესწავლის საშუალება. ისტორიულ პროცესის საფუძვლით შესწავლა კი არის უკანასკნელი მიზანი ისტორიკოსისა, ეს არის „აღთქმული მიწა“, რომლის საზღვრების კარების გარეთ ის არ მიემშურება, არ მიისწრაფის. ისტორიკოსს თვისი მეცნიერების უკანასკნელი მიზანი ყოველთვის მხედველობაში აქვს და იცის, რომ აღამიანთა საზოგადოების არ'ებობის და ცხოვრების შესწავლა ძრიელ ძნელია. ამ სიძნელის მიზეზი უნდა ვეძიოთ ისტორიულ პროცესის სირთულეში. საზოგადოების ცხოვრება ათასგვარ მოვლენათაგან შესდგება. საჭიროა ვიცოდეთ, რომელ მოვლენათა და პროცესების შესწავლას მოვკიდოთ თავდაპირველათ ხელი. ყველამ კარგათ იცის, რომ ზოგი მოვლენა უფრო მარტივია და ზოგი უფრო რთულია. საიდგან დავიწყით შესწავლა? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის

გაცემა შეიძლება: უფრო მარტივ მოვლენათა შესწავლიდან. მარტივ მოვლენათა შეგნების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია უფრო რთულ მოვლენათა და პროცესების შესწავლა დავიწყეთ. საჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ, რომელი მოვლენები, პროცესები უფრო მარტივია საზოგადოების ცხოვრებაში. ეს მოსაზრება არას დროს არ უნდა დავკარგოთ მხედველობიდან, როცა ვსწავლობთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას. თუ ვგრძნობთ არ მოვიქცით, ჩვენ-მიერ ფაქტების ახსნა, მოვლენათა ღრმა მიზეზების შესწავლა შეუძლებელი იქნება. კაცობრიობა თავის თან-და-თანობით განვითარებაში შრომობს; ამ შრომის შედეგები შეგვიძლია ორ კატეგორიად გავანაწილოთ: ერთი ნაწილი შედეგებისა შეადგენს მატერიალურ კულტურას, მეორე ნაწილი კი სულიერ კულტურას. მატერიალურ კულტურის მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ ეკონომიური მოვლენანი—ისინი შეესაბამება შრომის ორგანიზაციას—და ვაღიაროთ ეს მოვლენანი უფრო მარტა მოვლენებად. მთელი ცხოვრება კაცობრიობისა არსებობისათვის ბრძოლაში მიმდინარეობს. ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი მატერიალური მოაგროვოს თავის არსებობისთვის გარშემო პირობათა ზიხედვით და ბუნებითი შედეგი ამ ბრძოლაში გამარჯვებისა—სიმდიდრის მოგროვებაა. პირველ ადგილზე ყოველთვის საჭმლის შოვნის, მოთხოვნების დაკმაყოფილებაა. ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვარკვიოთ ნატერიალური როლის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. „ჩვენ თამამათ შეგვიძლია,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—გავხსნათ ათასჯვარად დახლართული ეკონომიური ან და სოციალური ნასკენი, ავითეული მოვლენა ამ სფეროში ჯეროვანათ ავხსნათ და ამ ახსნას ყველა დაეთანხმება; მაგრამ თუ კი მეცნიერებს გამოსარკვევათ და გასაგებათ დაუუსვამთ კითხვას საზოგადოებაში იდეთა (სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, სოციალური) გაჩენის და მის განვითარების და გავრცელების შესახებ, ათასჯვარ ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ახსნას მოგვაწვდენენ“.

ერთგვარ მოვლენათა შესწავლა კონტმა შედარებითი მეთოდის საშუალებით გვირჩია. ეს მეთოდი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სახელით მოინათლა. ჩვენ არ შევალთ აქ იმის განხილვაში, თუ რაში მდგომარეობს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გზით შეგვიძლია მივალწიოთ სერიოზულ შედეგებს. თავდაპირველად ისტორიამ უნდა შეიგნოს საზოგადოების ცხოვრების ყოველივე მოვლენა; ფაქტები კონკრეტულად, ინდივიდუალურად და ინტენსიურად უნდა შეისწავლოს და ამის შემდეგ გვექნება საშუალება ნამდვილ, გამორკვეულ მეცნიერულ ნასკვებს მივალწიოთ. თანამედროვე ისტორიკოსები ამ გზას ადგანან და ხმა-მალლად გაიძახიან: „საზოგადოებრივი მეცნიერება მხოლოდ ისტორიის საშუალებით მიიღებს არსებობის უფლებას, მხოლოდ ისტორია მისცემს მას ხორცს და სისხლს და მაშინ ის არ იქნება მკრთალ აბსტრაგციათა სისტემა... მხოლოდ ისტორიას შეუძლია მეცნიერულათ დააყენოს და გადასწყვიტოს სოციალური პრობლემები“... სოციოლოგიური თვალთა ხედვის ისარი, სპეციალური, კერძო გამოკვლევათა ფრთხილი გზა — აი ისტორიულ პროცესის საფესვით შესწავლის საშუალება. ისტორიულ პროცესის საფესვით შესწავლა კი არის უკანასკნელი მიზანი ისტორიკოსისა, ეს არის „აღთქმული მიწა“, რომლის საზღვრების კარების გარეთ ის არ მიეშურება, არ მიისწრაფის. ისტორიკოსს თვისი მეცნიერების უკანასკნელი მიზანი ყოველთვის მხედველობაში აქვს და იცის, რომ აღამიანთა საზოგადოების არ' ებობის და ცხოვრების შესწავლა ძრიელ ძნელია. ამ სიძნელის მიზეზი უნდა ვეძიოთ ისტორიულ პროცესის სირთულეში. საზოგადოების ცხოვრება ათასგვარ მოვლენათაგან შესდგება. საჭიროა ვიცოდეთ, რომელ მოვლენათა და პროცესების შესწავლას მოვკიდოთ თავდაპირველათ ხელი. ყველამ კარგათ იცის, რომ ზოგი მოვლენა უფრო მარტივია და ზოგი უფრო რთულია. საიდან დავიწყით შესწავლა? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის

გაცემა შეიძლება: უფრო მარტივ მოვლენათა შესწავლიდან. მარტივ მოვლენათა შეგნების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია უფრო რთულ მოვლენათა და პროცესების შესწავლა დავიწყოთ. საჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ, რომელი მოვლენები, პროცესები უფრო მარტივია საზოგადოების ცხოვრებაში. ეს მოსაზრება არას დროს არ უნდა დავკარგოთ მხედველობიდან, როცა ვსწავლობთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას. თუ ვგრძნობთ არ მოვიქცით, ჩვენ-მიერ ფაქტების ახსნა, მოვლენათა ღრმა მიზეზების შესწავლა შეუძლებელი იქნება. კაცობრიობა თავის თან-და-თანობით განვითარებაში შრომობს; ამ შრომის შედეგები შეგვიძლია ორ კატეგორიად გავანაწილოთ: ერთი ნაწილი შედეგებისა შეადგენს მატერიალურ კულტურას, მეორე ნაწილი კი სულიურ კულტურას. მატერიალურ კულტურის მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ ეკონომიური მოვლენანი—ისინი შეესაბამებიან შრომის ორგანიზაციას—და ვალიართ ეს მოვლენანი უფრო მარტა მოვლენებად. მთელი ცხოვრება კაცობრიობისა არსებობისათვის ბრძოლაში მიმდინარეობს. ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი მატერიალური მოაგროვოს თავის არსებობისთვის გარშემო პირობათა მიხედვით და ბუნებითი შედეგი ამ ბრძოლაში გამარჯვებისა—სიმდიდრის მოგროვებაა. პირველ ადგილზე ყოველთვის საჭმლის შოვნის, მოთხოვნილების დაკმაყოფილებაა. ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვარკვიოთ ნატერიალური როლის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. „ჩვენ თამამათ შეგვიძლია,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—გავხსნათ ათასგვარად დახლართული ეკონომიური ან და სოციალური ნასკენი, ავითოთელი მოვლენა ამ სფერაში ჯეროვანათ ავხსნათ და ამ ახსნას ყველა დავთანხმება; მაგრამ თუ კი მეცნიერებს გამოსარკვევათ და გასაგებათ დაფუსვამთ კითხვას საზოგადოებაში იდეათა (სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, სოციალური) გაჩენის და მის განვითარების და გავრცელების შესახებ, ათასგვარ ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ახსნას მოგვაწვდენენ“.

ერთგვარ მოვლენათა შესწავლა კონტმა შედარებითი მეთოდის საშუალებით გვირჩია. ეს მეთოდი ისტორიულ-შედარებითი მეთოდის სახელით მოინათლა. ჩვენ არ შევალთ აქ იმის განხილვაში, თუ რაში მდგომარეობს ისტორიულ-შედარებითი მეთოდი. ვიტყვით მხოლოდ, რომ ამ გზით შეგვიძლია მივალწიოთ სერიოზულ შედეგებს. თავდაპირველად ისტორიამ უნდა შეიგნოს საზოგადოების ცხოვრების ყოველივე მოვლენა; ფაქტები კონკრეტულად, ინდივიდუალურად და ინტესიურად უნდა შეისწავლოს და ამის შემდეგ გვექნება საშუალება ნამდვილ, გამორკვეულ მეცნიერულ ნასკვებს მივალწიოთ. თანამედროვე ისტორიკოსები ამ გზას ადგანან და ხმა-მალლად გაიძახიან: „საზოგადოებრივი მეცნიერება მხოლოდ ისტორიის საშუალებით მიიღებს არსებობის უფლებას, მხოლოდ ისტორია მისცემს მას ხორცს და სისხლს და მაშინ ის არ იქნება მკრთალ აბსტრაგციათა სისტემა... მხოლოდ ისტორიას შეუძლია მეცნიერულათ დააყენოს და გადასწყვიტოს სოციალური პრობლემები“... სოციოლოგიური თვალთა ხედვის ისარი, სპეციალური, კერძო გამოკვლევათა ფრთხილი გზა — აი ისტორიულ პროცესის სავსებით შესწავლის საშუალება. ისტორიულ პროცესის სავსებით შესწავლა კი არის უკანასკნელი მიზანი ისტორიკოსისა, ეს არის „აღთქმული მიწა“, რომლის საზღვრების კარების გარეთ ის არ მიეშურება, არ მიისწრაფის. ისტორიკოსს თვისი მეცნიერების უკანასკნელი მიზანი ყოველთვის მხედველობაში აქვს და იცის, რომ აღამიანთა საზოგადოების არ' ებობის და ცხოვრების შესწავლა ძრიელ ძნელია. ამ სიძნელის მიზეზი უნდა ვეძიოთ ისტორიულ პროცესის სირთულეში. საზოგადოების ცხოვრება ათასგვარ მოვლენათაგან შესდგება. საჭიროა ვიცოდეთ, რომელ მოვლენათა და პროცესების შესწავლას მოვკიდოთ თავდაპირველათ ხელი. ყველამ კარგათ იცის, რომ ზოგი მოვლენა უფრო მარტივია და ზოგი უფრო რთულია. საიდგან დავიწყით შესწავლა? ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხის

გაცემა შეიძლება: უფრო მარტივ მოვლენათა შესწავლიდგან. მარტივ მოვლენათა შეგნების შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია უფრო რთულ მოვლენათა და პროცესების შესწავლა დავიწყოთ. საჭიროა ვიცოდეთ მხოლოდ, რომელი მოვლენები, პროცესები უფრო მარტივია საზოგადოების ცხოვრებაში. ეს მოსაზრება არას დროს არ უნდა დავკარგოთ მხედველობიდან, როცა ვსწავლობთ კაცობრიობის განვითარების ისტორიას. თუ ვგრე არ მოვიქცებით, ჩვენ-მიერ ფაქტების ახსნა, მოვლენათა ღრმა მიზეზების შესწავლა შეუძლებელი იქნება. კაცობრიობა თავის თან-და-თანობით განვითარებაში შრომობს; ამ შრომის შედეგები შეგვიძლია ორ კატეგორიად გავანაწილოთ: ერთი ნაწილი შედეგებისა შეადგენს მატერიალურ კულტურას, მეორე ნაწილი კი სულიერ კულტურას. მატერიალურ კულტურის მოვლენად უნდა ჩავსთვალოთ ეკონომიური მოვლენანი—ისინი შეესაბამებენ შრომის ორგანიზაციას—და ვალიართ ეს მოვლენანი უფრო მარტა მოვლენებად. მთელი ცხოვრება კაცობრიობისა არსებობისათვის ბრძოლაში მიმდინარეობს. ის ცდილობს რაც შეიძლება მეტი მატერიალური მოაგროვოს თავის არსებობისთვის გარშემო პირობათა ზიხედვით და ბუნებითი შედეგი ამ ბრძოლაში გამარჯვებისა—სიმდიდრის მოგროვებაა. პირველ ადგილზე ყოველთვის საკმლის შოვნის, მოთხოვნის დაკმაყოფილებაა. ჩვენ ადვილათ შეგვიძლია გამოვარკვიოთ ნატერიალური როლის მნიშვნელობა საზოგადოების ცხოვრებაში. „ჩვენ თამამათ შეგვიძლია,—ამბობს ერთი ისტორიკოსი,—გავხსნათ ათასგვარად დახლართული ეკონომიური ან და სოციალური ნასკენი, ავითეული მოვლენა ამ სფერაში ჯეროვანათ ავხსნათ და ამ ახსნას ყველა დაეთანხმება; მაგრამ თუ კი მეცნიერებს გამოსარკვევათ და გასაგებათ დავუსვამთ კითხვას საზოგადოებაში იდეათა (სარწმუნოებრივი, პოლიტიკური, სოციალური) გაჩენის და მის განვითარების და გავრცელების შესახებ, ათასგვარ ერთი-მეორეს საწინააღმდეგო ახსნას მოგვაწვდენენ“.

სულიერ კულტურის მოვლენანი ძრიელ რთულია. მათი განვითარების კანონების შესწავლა გაცილებით უფრო ძნელია. შესაძლოა სულიერი კულტურა შევისწავლოთ მატერიალურ კულტურის შესწავლის შემდეგ. რასაკვირველია, ამგვარათ შესწავლის დაყენება „არ სწყვეტაჲს კითხვას მატერიალურ და იდეურ ან და სულიერ ფაქტორთა შედარებით მნიშვნელობის შესახებ“. ეს ეგრეც უნდა იყოს. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ჯერ-ჯერობით ეს კითხვა გადავწყვიტოთ: ეს თანამედროვე მეცნიერების ძალებს აღემატება. ისტორიული პროცესი არ არის შესწავლული ყოველ-მხრივ და უამისოთ კი წამოყენებულ კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია. ისტორიკოსს „შეუძლია მხოლოდ სჯა ჰქონდეს მატერიალური ფაქტორების და მოვლენების შედარებით სიადვილეზე გამოსარკვევათ... არც ეკონომიურ მატერიალიზმის და არც ისტორიულ იდეალიზმის შესახებ შეგვიძლია ვიქონიოთ ბაასი რეალურ ისტორიულ მეცნიერებაში. შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ მატერიალურ ან იდეურ ისტორიის შესახებ, თუ საჭიროა მაინც და მაინც ახალი ტერმინები და ეს ტერმინები უნდა გვესმოდეს არა როგორც ერთი-მეორის უარისმყოფელი, ამასთანავე ორივე ერთად აპრიორული, არა მეცნიერული ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიები, არამედ როგორც ერთი ისტორიული მეცნიერების ორი შტო, რომლებიც ერთს მიზანს მიესწრაფიან“... ეს მიზანი ისტორიული მეცნიერებისა ჩვენ უკვე ვიცით: ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების გამორკვევა და შესწავლა, ისტორიული პროცესის ყოველ-მხრივი შესწავლა-შეგნება.

შეიძლება გვითხრან, რომ ამ მიზანს ემსახურებიან სხვა მეცნიერებანიც, როგორც მაგ., პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფიის ისტორია, ლიტერატურის ისტორია, ეტნოგრაფია, ანტროპოლოგია, გეოგრაფია და სხვ. და. სხვ. ეს მართალია. არც ერთი ისტორიკოსი ამას არ უარჰყოფს. ისტორიკოსი ღღეს უნდა იცნობდეს იმ ქვეყანათა გეოგრაფიას მა

ეტნოგრაფიას, რომლებსაცა სწავლობს, უნდა იცოდეს და იცნობდეს ლინგვისტიკას, ახალს და ძველს ენებს, არხეოლოგიას, ლიტერატურის ისტორიას და ხელოვნებათა ისტორიას, ისტორიულ ეკონომიას, სახელმწიფოურ და საერთო შორის უფლებას და სხვა. უამისოთ ის არ იქნება ნამდვილი ისტორიკოსი. როგორც მეცნიერებას, ისტორიას დღეს ცენტრალური ადგილი უჭირავს სხვა-და-სხვა მეცნიერებათა შორის. ისტორია ის ცხოველ-მყოფელი ძალაა, რომელმაც უნდა შესძლოს „შეერთება ერთ ვრცელ და მძლავრ კალაპოტში“ იმ მეცნიერთა და მეცნიერებათა, რომელთ ნაშრომით ღ დასკვნებით ის სარგებლობს. უსათუოთ საჭიროა ამგვარი შემაერთებელი მეცნიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევისწავლით ისტორიულ პროცესს ყოველ მხრივ, რადგანაც თვითეული მეცნიერება კერძოთ სწავლობს ისტორიულ პროცესის რომელიმე მხარეს, ნაწილს; მაგ., პოლიტიკური ეკონომია, უფლება, ლიტერატურის ისტორია, ეტნოგრაფია და სხვა. საზოგადოებრივ პროცესს ყოველ-მხრივ არ ეხებიან, არ ასურათებენ: მათ თვისი სპეციალური მიზნები აქვთ. ისინი არკვევენ ეკონომიურ, უფლების, ლიტერატურულ და სხვ. ევოლუციას კერძოთ, ცალ-ცალკე და ამიტომ „საჭიროა დისციპლინა, რომელმაც უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი პროცესი სავსებით, ყოველ-მხრივ...“ ეს დისციპლინა—ისტორიაა.

ამგვარია თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერება და მისი ტენდენციები. ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს შერჩება ამ მეცნიერებას ძველი სახელი—ისტორია, თუ მოინათლება ახალი სახელით—სოციოლოგიით. მაგრამ ამით ბევრი არა იცვლება-რა....

აღ. მდ—ნი.

სულიერ კულტურის მოვლენანი ძრიელ რთულია. მათი განვითარების კანონების შესწავლა გაცილებით უფრო ძნელია. შესაძლოა სულიერი კულტურა შევისწავლოთ მატერიალურ კულტურის შესწავლის შემდეგ. რასაკვირველია, ამგვარათ შესწავლის დაყენება „არ სწყვეტავს კითხვას მატერიალურ და იდეურ ან და სულიერ ფაქტორთა შედარებით მნიშვნელობის შესახებ“. ეს ეგრეც უნდა იყოს. ჩვენ არა გვაქვს საშუალება ჯერ-ჯერობით ეს კითხვა გადავწყვიტოთ: ეს თანამედროვე მეცნიერების ძალებს აღემატება. ისტორიული პროცესი არ არის შესწავლული ყოველ-მხრივ და უამისოთ კი წამოყენებულ კითხვის გადაწყვეტა შეუძლებელია. ისტორიკოსს „შეუძლია მხოლოდ სჯა ჰქონდეს მატერიალური ფაქტორების და მოვლენების შედარებით სიადვილეზე გამოსარკვევათ... არც ეკონომიურ მატერიალიზმის და არც ისტორიულ იდეალიზმის შესახებ შეგვიძლია ვიქონიოთ ბაასი რეალურ ისტორიულ მეცნიერებაში. შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ მატერიალურ ან იდეურ ისტორიის შესახებ, თუ საჭიროა მაინც და მაინც ახალი ტერმინები და ეს ტერმინები უნდა გვესმოდეს არა როგორც ერთი-მეორის უარისმყოფელი, ამასთანავე ორივე ერთად აპრიორული, არა მეცნიერული ფილოსოფიურ-ისტორიული თეორიები, არამედ როგორც ერთი ისტორიული მეცნიერების ორი შტო, რომლებიც ერთს მიზანს მიესწრაფიან... ეს მიზანი ისტორიული მეცნიერებისა ჩვენ უკვე ვიცით: ადამიანთა საზოგადოების განვითარების კანონების გამორკვევა და შესწავლა, ისტორიული პროცესის ყოველ-მხრივი შესწავლა-შეგნება.

შეიძლება გვითხრან, რომ ამ მიზანს ემსახურებიან სხვა მეცნიერებანიც, როგორც ჰაგ., პოლიტიკური ეკონომია, ფილოსოფიის ისტორია, ლიტერატურის ისტორია, ეტნოგრაფია, ანტროპოლოგია, გეოგრაფია და სხვ. და. სხვ. ეს მართალიააზრია. არც ერთი ისტორიკოსი ამას არ უარჰყოფს. ისტორიკოსი ღღეს უნდა იცნობდეს იმ ქვეყანათა გეოგრაფიას მა

ეტნოგრაფიას, რომლებსაცა სწავლობს, უნდა იცოდეს და იცნობდეს ლინგვისტიკას, ახალს და ძველს ენებს, არხეოლოგიას, ლიტერატურის ისტორიას და ხელოვნებათა ისტორიას, ისტორიულ ეკონომიას, სახელმწიფოურ და საერთო შორის უფლებას და სხვა. უამისოთ ის არ იქნება ნამდვილი ისტორიკოსი. როგორც მეცნიერებას, ისტორიას დღეს ცენტრალური ადგილი უჭირავს სხვა-და-სხვა მეცნიერებათა შორის. ისტორია ის ცხოველ-მყოფელი ძალაა, რომელმაც უნდა შესძლოს „შევრთება ერთ ვრცელ და მძლავრ კალაპოტში“ იმ მეცნიერთა და მეცნიერებათა, რომელთა ნაშრომით დასკვნებით ის სარგებლობს. უსათუოთ საჭიროა ამგვარი შემაერთებელი მეცნიერება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევისწავლით ისტორიულ პროცესს ყოველ მხრივ, რადგანაც თვითელი მეცნიერება კერძოთ სწავლობს ისტორიულ პროცესის რომელიმე მხარეს, ნაწილს; მაგ., პოლიტიკური ეკონომია, უფლება, ლიტერატურის ისტორია, ეტნოგრაფია და სხვა. საზოგადოებრივ პროცესს ყოველ-მხრივ არ ეხებიან. არ ასურათებენ: მათ თვისი სპეციალური მიზნები აქვთ. ისინი არაკვევნი ეკონომიურ, უფლების, ლიტერატურულ და სხვ. ევოლიუციას კერძოთ, ცალ-ცალკე და ამიტომ „საჭიროა დისციპლინა, რომელმაც უნდა შეისწავლოს საზოგადოებრივი პროცესი სავსებით, ყოველ-მხრივ...“ ეს დისციპლინა — ისტორიაა.

ამგვარი თანამედროვე საზოგადოებრივი მეცნიერება და მისი ტენდენციები. ჩვენთვის სულ ერთი უნდა იყოს შერჩება ამ მეცნიერებას ძველი სახელი — ისტორია, თუ მოინათლება ახალი სახელით — სოციოლოგიით. მაგრამ ამით ბევრი არა იცვლება-რა...

აღ. მღ — ნი.

მთიულთ ცხოვრებდამ

(მგზავრის შენიშვნები).

IV

(დასასრულა *).

სამსჯავროში.

ვერძეულ გემოვნებაზედ მოწყობილს ოთახში სდგას მაციდა, გადაფარებული წითელი მაუდიო, სტოლის წინ სდგას ხალხის დასასხდამი გძელი სკამება, სკამებზედ სხედან სასამართლოში მოწოდებულნი ზირნი. სასამართლოს შესავალ კარებთან სდგას დიდა ხნის სამსახური აასუელი, კამოცდილი სუდას საქმეებში ვუშაველი ჩეკალა. მარცხენა კარებიდამ კათედრის მხრავ შემოდის მსაჯული და მისი თარჯიმანი.

მსაჯული. ირჩევა სამოქალაქო საქმე ვართან ერბოიანცისა, რომელიც თამასუქით უჩივის ოთხ თუმანზედ აპარეკა კინკარაულს. (დაუძახებს) ვართან ერბოიანც! აპარეკა კინკარაული! (ვართანა წამოდგება მსაჯულის წინ, მხოლოდ აზარეკას, რომელიც გარედ სდგას დაუძახებენ. როდესაც აზარეკა კარებთან მოვა შემოსასვლელად, დახვდება მას აასუელი ჩეკალა. ეს უკანასკნელი მკლავში ხელს გაუერის, შეიქეას და ჩეკალა მისცემს დარიგებას დაბალის ხმით):

ჩეკალა. ძმობილო აპარეკავ! მე შენი საქმე კარგად ვიცი, მაგ სომხის ვალი გადახდილი გაქვს და ვგკი ტყუილად ვიჩივის.

*) იხ. მოგზაური № 4.

აზარეკა. მერე რაი არს, ერთხელ გაძრობილ ტყავს განა მეორედაც გამაძრობენა? დიდის ღმერთის მადმა ძოლანის ერბო წავიღე ქალაქი, გავყიდე და ვალ ჩავაბარე ვართანას და ერთ ლიტრა ერბოც ძღვნად მივართვი. ეხლა არ ვიცი რას მედავებინ?

ჩეკილა. აი, ძმაო აპარეკავ, მე შენ მოგცემ კარგს დარიგებას: სუდიამ როცა გიძახოს, შენ იმას მოახსენე, რომ წერა-კითხვა არ ვიცი, მაგ ვართანა სომეხს არც იცნობ, არც თავისდღეში მაგის ფული გმართებია. მარტო ამ გვარი ჩვენება გაგამართლებს, თორემ ის რო უთხრა, ვალი მემართა და გადვიხადეო, გაგამტყუნებენ და მეორედ გადაგახდევინებენ ფულს. (ხევესური აინთება და შეუტევს ჩეკილას იასაულს).

აზარეკა. შენ როგორ ბედავ, მაგისთანა რჩევა-დარიგებას მადღევა, რომ სუდიას უთხრა—არც ვიცნობ და არც მაგის ფული მმართებინ. მე თავად აუხსნი სუდიას ყოველს სიმართლეს, როგორ ვართანასაგან ვისესხე ფული, ერბო წავიტანე ქალაქი, გავყიდე და ფულ ჩავაბარე, ერთი ლიტრაც ძღვნად მივართვი. როცა ამ ჩემ ქეშმარიტებას გაიგებსა სუდია და ჩემი სიმართლე აღმოჩნდების, განა თავად არ გამამართლებსა.

ჩეკილა. აპარეკავ, თავი არ დაიღუპო, ეგრეთი ჩვენება არ მისცე სუდიას, თორემ გაგამტყუნებს. (სუდაა მეორედ დაუძახებს აზარეკას, რომელაც წარსდგება მის წინაშე, სალამს მისცემს მარჯვენა ფეხის ოდნავ ჩაკეციით, ორ თითს მარჯვენა ხელისას შუბლზედ მიიღებს, ნიშნად ჩესტისა, შემდეგ ხელს გაიშვერს ისე, რომ მსაჯულს შუბლზედ მიაბჯენს და ეტყვას):

აზარეკა. ღორისპოდინ მირონი სუდია ადღეგრძელოს ღმერთმა, ხო კარგადა ხარ დიაც-ყმაწვილითა, კაცი-საქონითა?

მსაჯული. (თარჯიმანს). Передайте ему, какъ онъ смѣетъ

подавать мнѣ руку и спрашивать о какихъ-то животныѣхъ.

თარჯიმანა. (მიუბრუნდება ანარქეს). სულია გიბრძანებს: ნება არა გაქვს საქმის გარჩევის დროს ხელი ჩამომართვაო და მკიობო ვილაც მუცლიანებზედაო.

მსაჯული. (ანარქეს). შენ გიჩივის ვართანა ერბოიანცი თამასუქით ოთხ თუმანზედ. რატომ არ ჩავიბარებია აქამდის?

ანარქეს. გუდანის ჯვარს გეფიცები. ღორისპოდინ სულია, თეთრი სრულიად ჩაბარებულ მაქვს.

მსაჯული. თუ ჩაბარებული გაქვს, რატომ თამასუქი გაუქმებული არ არის, ან კვიტანცია არა გაქვს?

ანარქეს. მე დაწვრილებით მოგახსენებთ ღორისპოდინ სულია ამ საქმეს. მე ურჯულოებმა ერთ ულაც შემიჭამეს, მოსაძებნად გავგზავნე ქისტეთი ერთ ჩემ კარგ მეგობარ პირ-იქითულ თუში ლეკაიძე, იმან ჩემ ულაც იპოვა, ჩამაბარა და სადაოჩი უნდარის მიმეცა ლეკაიძისად ოთხ ძროხა, რადგან თეთრ არ მქონდა, ვისესხე ამ ვართანა ჩარჩისაგან და ჩავაბარ თუშს. მერე მთელ ზაფხულში რაც ერბო მოვაგროვე, ზოგი მეზობელთგან ვისესხე, ერბოიანის დროს ქალაქში წავიტან, გავყიდე და ვართანას ჩავაბარე თავის თეთრ და ერთი ლიტრაც ძღვნად ჰივართვი, რადგანაც გაქირვებაში ხელ გამიმართა—ააშენოს ღმერთმა მაგის ოჯახი. ეხლა არ ვიცი მეორედ რას შედავების, აი პირიაც ყველაფერს ვეტყვი. (მიუბრუნდება ვართანას). ვართანავ! არა გრცხვენისა, სინიდის არ გაქვის, ვაჟ-კაც არ ხარა, რად მიჩივ მეორედ, არ ჩავაბარია შენი თეთრ; შენ განა არ იცი, ჩვენი ხევისური სულში არ წავალს არც ასი ძროხის გულისად, რაზედ მაწუხებ?

ვართანა. მე შენი ძროხების და გოქების არა ვიცი-რა. შენ ჩემგნით ნაღდი აგილია, თამასუქი მოგიცია, რომელიც საქმეშია ჩაკერებული, თუ გასწორებული ხარ, თამასუქს

ჩემს ხელში რაღა უნდა. ან რატომ კვიტანტია ანა გაქვს ჩემგნით?

მსაჯულა. (თარჯიმანს). Что этот хевсурь толкуеть, я тутъ ничего не понялъ.

თარჯიმანი. Онъ хевсурь, говорить, что, говорить, безвѣріе, говорить, мой жеребець, говорить, скушалъ, говорить, я говорить, послалъ, говорить, тушина, говорить, мой жеребець говорить. Тушинъ, говорить, отыскалъ, говорить, мой жеребець за это, говорить, я долженъ, говорить, заплатить, говорить, тушину, говорить, четыре коровы, говорить, а у менѣ, говорить, бѣлы не биль, говорить, занялъ, говорить, у Вартана чарчъ говорить и одалъ, говорить, тушину, говорить. Послѣ, говорить, я собралъ, говорить, лѣтомъ, говорить, масло, говорить, и въ маслое время, говорить, отніалъ, говорить въ Тифлисъ, говорить. продалъ, говорить, и заплатилъ, говорить, Вартану, говорить, свой, говорить, бѣлы. Ищю, говорить, одинъ литра масло, говорить, гасганица, говорить, одалъ, говорить, и эму ни совѣстна ещо другой разъ просить, говорить.

მსაჯულა. Я абсолютно ничего не понялъ. что вы говорите.

თარჯ. Господинъ судья, ей Бохъ, самой точный переводъ сдѣлалъ я.

მსაჯულა. Что это за маслое время, разъясните, пожалуйста!

თარჯ. Я почомъ знаю, какъ онъ говоритъ мене, такъ и говоришь тебѣ. (ხევსურს). შენ ისე არ მიიხარ, ერბოობას წავიღე ერბო გასასყიდლათაო?

ხევსური. დიად, ისე გითხარ.

თანჯ. ეს ეობოობის დრო რა დრო არის?

ხეცსურა. ეს ეობოობა მაშინ არის, როცა ზაფხულ გავალის და ზამთარ მოახლოვდების, მაშინ ქალაქი რა მივდივართ, არაგვის პირზედ, ოტია ზანდუკელის ვენახი ყურძენს ჰკრეფენ.

თანჯ. (მსაჯულს). Онъ говорить, что маслое время бываетъ, говорить, тогда, когда лѣто пройдетъ, говорить, и зима близко биваетъ, говорить, когда, говорить, мы, говорить, Тифлисъ ѣдимъ, говорить, на Арагвѣ, говорить, Отія Зандукели, говорить, виноградь, говорить, рветъ, говорить, тогда маслое время биваетъ, говорить.

მსაჯ. (თანჯიმანს). Я ни васъ, ни его не понялъ. (ქართულად ხეცსურს). შენ, ხეცსურო, კვატანცია გაქვს ფულის ჩაბარებისა?

ხეცსურა. კვიტანცია რა არსა, მე არ ვიცი.

მსაჯული. (თანჯიმანს). Переводчикъ, разъясни ему, что значитъ квитанція.

თანჯ. აი კვიტანცია რა არის: კვიტანცია ის არის, რომ ქალღმერთად არის დაწერილი, რომ შენ, რაც ვართანასაგან ფული მივიღია, ჩაგიბარებია და ამის ხელი უნდა ეწეროს.

ხეცსური. (იქით). ჰო, ეს ატრატას ამბობს. როგორ, ჩემ პატროსან სიტყვას, რომელსაც არ გავიღებ არც ას ძროხაზედ, არ უჯვრებთ და რალაც ატრატის ნახვეს უჯვრებთ? ეს არის თქვენი სამართალი?! ამით გინდათა ქეშმარიტება გაავრცელოთ თქვენ ქვეყანაზედ.

მსაჯული. Ну я понялъ, значитъ, у него квитанціи нѣтъ. (მსაჯული წაიკითხავს გარდაწვევტილებას, რომლის შინაარსი არის შემდეგი: ანარეკა კონჭარაულმა უნდა ჩაბაროს ვართანას ეობოობის ოთხი თუმანი ფული თავის სარგებლით და სუფისნი აზღერეკებით).

სეკსუნა. (დადას გაკვირვებით მასეღავს მსაჯულს). მე შენ, ღორისპოდინ სუღია, კოკროქინის სუღიას რომ ეტყვიან, იმასთან გიჩივლებ. (ანაკეკა გამობრუნდება და კარებთან რე მავა, აქ დასვდება ჩეეღა იასაული და დაყვედრებს):

ჩეეღა. აჰა! ჩემი დარაგება რომ არ გაიგონე, დაგაკისრეს თუ არა მეორედ?

ანაკეკა. მე რა ვიცოდი თუ ქვეყანაზედ ამისთანა სამართალ იქნებოდა, რომ თუ სიმართლეს ვიტყოდი, ვამამტყუნებდნენ და თუ ტყუილს ვიტყოდი გამამართლებდნენ. მე ამ ამბავს მთელს თემს შევატყობინებ, რომ გაგზავნონ კაცებ მუხრან-ბატონთან და გააგებინან ამისთან სამართალი ჩვენს ქოყანას სულ თავქვე დაამხობს. (დაიწყება შეორე საქმის გარჩევა).

მსაჯული. ნადირა ელოელი, მოურავი ბიქია გომართელიძე, მოწამე ამ საქმისა მზექალა ვედრაულისა. (ეს ქალი არის ჩამოყალი ფშაურად, გულზედ აქვს აბაზებიანისაგან გაკეთებული შიბი, ცოტათი ხანში შესული ქალი). ნადირა ელოელი, შენ რას უჩივი ამ ბიქია გომართელიძეს?

ნადირა. შე იმას უჩივი შენი კვენესამე, რომ მაგას ათ თუმან ვასესზე ამ მზექალა ვედრაულის დასწრებით და აღარ მადღევს, გთხოვთ გამომირთვათ.

მსაჯ. გომართელიძე, შენ რატომ არ აძლევ ამას თავის ვალს?

გომართელიძე. მისდა არ ვაძლევ, ბატონო, რომ ატკაზს ქვეუბნები ახალი კანონის ძალით.

მსაჯ. როგორ თუ ატკაზს ეუბნები, არა გმართებს?

გომართ. მართების რაფა არა მმართებს, მაგისი ოჯახი ააშენა ღმერთმა, მაგისთანა გაქირების ღროს მომიმართა ხელი, რომ მამა შეიღს არ უზამდა მაგისთანა სიკეთეს.

მსაჯ. მაშ, კაცო, რა მიზეზია, რომ არ აძლევ თავისას?

გომართ. რავარც მოგახსენე, ბატონო. მართებით მმართებს, მაგრამ ატკაზს ვეუბნები.

ნადირა. ჰე, დედამტრისასა, ძვო ბიქიავ, შენ იმისთანა გა-

თარჯ. ეს ერბოობის დრო რა დრო არის?

ხევსურა. ეს ერბოობა მაშინ არის, როცა ზაფხულ გავალის და ზამთარ მოახლოვდების, მაშინ ქალაქი რა მივდივართ, არაგვის პირზედ, ოტია ზანდუკელის ვენახი ყურძენს ჰკრეფენ.

თარჯ. (მსაჯულს). Онъ говорить, что маслое время бываетъ, говорить, тогда, когда лѣто пройдетъ, говорить, и зима близко биваетъ, говорить, когда, говорить, мы, говорить, Тифлисъ ѣдимъ, говорить, на Арагвѣ, говорить, Отія Зандукели, говорить, виноградь, говорить, рветъ, говорить, тогда маслое время биваетъ, говорить.

მსაჯ. (თარჯიმანს). Я ни васъ, ни его не понялъ. (ქართულად ხევსურს). შენ, ხევსურო, კვატანცია გაქვს ფულის ჩაბარებისა?

ხევსურა. კვიტანცია რა არსა, მე არ ვიცი.

მსაჯული. (თარჯიმანს). Переводчикъ, разъясни ему, что значитъ квитанція.

თარჯ. აი კვიტანცია რა არის: კვიტანცია ის არის, რომ ქალღმერთს არის დაწერილი, რომ შენ, რაც ვართანასაგან ფული მივიღია, ჩაგიბარებია და ამის ხელი უნდა ეწეროს.

ხევსურა. (იქით). ჰო, ეს ატრატას ამბობს. როგორ, ჩემ პატრონს სიტყვას, რომელსაც არ გავიღებ არც ას ძროხაზედ, არ უჯვრებთ და რაღაც ატრატის ნახევს უჯვრებთ? ეს არის თქვენი სამართალი?! ამით გინდათ ქეშმარიტება გაავრცელოთ თქვენ ქვეყანაზედ.

მსაჯული. Ну я понялъ, значитъ, у него квитанціи нѣтъ. (მსაჯული წაიკითხავს გარდაწვეტილებას, რომლის შინაარსი არის შემდეგი: ანარეკა კინჭარაულმა უნდა ჩაანახოს ვართანა ერბოობის ოთხი თუშანი ფული თავის სარკებლით და სუდგისი ახდერეკებით).

სეკსუკა. (დადას გაკვირვებით მანქლავს მსაჯულს). მე შენ, ღორისპოდინ სუდია, კოკროკინის სუდიას რომ ეტყვიან, იმასთან გიჩივლებ. (ანაკეკა გამობრუნდება და კარებთან წო მავა, აქ დახვდება ჩეკილა იასაული და დაყვედრებს):

ჩეკილა. აჰა! ჩემი დარაგება რომ არ გაიგონე, დაგაკისრეს თუ არა მეორედ?

ანაკეკა. მე რა ვიცოდი თუ ქვეყანაზედ ამისთანა სამართალ-იქნებოდა, რომ თუ სიმართლეს ვიტყოდი, გამამტყუნებდნენ და თუ ტყუილს ვიტყოდი გამამართლებდნენ. მე ამ ამბავს მთელს თემს შევატყობინებ, რომ გაგზავნონ კაცებ მუხრან-ბატონთან და გააგებინან ამისთან სამართალი ჩვენს ქოყანას სულ თავქვე დაამხობს. (დაიწეება შეორე საქმის გარჩევა).

მსაჯული. ნადირა ელოცი, მოურავი ბიქია გომართელიძე, მოწამე ამ საქმისა მზექალა ვედრაულისა. (ეს ქალი აწის ჩამოყლი ფშაურად, გულზედ აქვს აბაზებიანისაგან გაკეთებული შიბი, ცოტათი ხანში შესული ქალა). ნადირა ელოცილო, შენ რას უჩივი ამ ბიქია გომართელიძეს?

ნადირა. შე იმას უჩივი შენი კვენესამე, რომ მაგას ათ თუმან ვასესზე ამ მზექალა ვედრაულის დასწრებით და აღარ მაძლევს, გთხოვთ გამომიერთვათ.

მსაჯ. გომართელიძე, შენ რატომ არ აძლევ ამას თავის ვალს?

გომართელიძე. მისდა არ ვაძლევ, ბატონო, რომ ატკაზს ქე ვეუბნები ახალი კანონის ძალით.

მსაჯ. როგორ თუ ატკაზს ეუბნები, არა გმართებს?

გომართ. მართებია რაღა არა მმართებს, მაგისი ოჯახი ააშენა ღმერთმა, მაგისთანა გაქირების ღროს მომიმართა ხელი, რომ მამა შეიღს არ უზამდა მაგისთანა სიკეთეს.

მსაჯ. მაჲ, კაცო, რა მიზეზია, რომ არ აძლევ თავისას?

გომართ. რავარც მოგახსენე, ბატონო. მართებით მმართებს, მაგრამ ატკაზს ვეუბნები.

ნადირა. ჰე, დედამტრინასა, ძაო ბიქიავ, შენ იმისთანა გა-

ქირვების დროს ხელი მოგიმართე და ეხლა ატკაზს მუ-
უბნები?

მსაჯ. კაცო, შენ გიყი ხომ არა ხარ?

გამძნო. გიყი რაფა ვარ, ბატონო, მე გიყი კი არა, ზემო-
იმერეთში ერთი აზნაურშვილი მე არა მჯობია. საქმის
შინაარსსაც დაწვრილებით მოგახსენებ. იმერეთიდან სა-
ჩქაროდ ქალაქი მომივიდა, რომლითაც მატყობინებ-
დენ, რომ საჩქაროდ წამოდი სახლში, დედა მოგიკვდაო.
(ამ სიტყვების წარმოთქმის დროს მსაჯულს ცხვირს დაატყ-
მანეს. მზექალა ადგება, აფა კათედრაზე და სამჯერ მსაჯულს
ზურგზედ ხელს დაჭკრამს და ეტყვის: „თავისა მოიკითხოს,
იმას ცხონება, შენ დღეგრძელობა“.

მსაჯ. შენ როგორ მიბედავ მე, სამსახურის ასრულების დროს,
მუშტი-კრივით ცემას?

მზექალა. არა, შეილო, ეს ხომ ცემა არ არის, ეს არის და-
ლოცვა, რომ ფათერაკი მოგშორდეს.

მსაჯ. Переводчикъ, что она толкуетъ?

თარჯამანი. Она говоритъ, что я не билъ, говоритъ, а
эту сдѣлалъ, говоритъ, чтобы Вы не помѣрь, го-
ворить.

მსაჯ. Передайте ей, что я составлю протоколъ о ней
за нанесеніе побоевъ во время отправленія слу-
жебныхъ обязанностей и предамъ суду на основа-
ніи 270 ст. ус. о наказаніяхъ.

თარჯამანი. აი, მსაჯული გიცხადებს, რომ მაგ ცემაზედ პრო-
ტოკოლს შეგიყენებს და 270 სტ. ძალით პოდსუდში
მიგცემს.

მზექალა. რა ბედენაა, ამ სულში მიმცემს თუ სხვაში, მე რაც
ვიცი ნადირს და ბიჭიას საქმეში, იმას ვაჩვენებ.

მსაჯული. (პროტოკოლს შეადგენს და პრეკუატორს გადასცემს).
გომართელიძე, შენ გააგრძელე შენი პასუხი.

გამძნოელიძე. როგორც ის ქალაქი მივიღე, მაშინათვე ქე

გიახელ ნადირასთან, აუხსენი ჩემი მწუხარება და ვსთხოვე სესხად ათი თუმანი, ღმერთმა განაძლიეროს მაგისი ოჯახი, ხმაც არ ამომალეზია. მითხრა, რადგან ასეთი გაჭირვება გაქვსო, ვაჟკაცი კაცს უნდა გამოადგეს ჭირში და ლხინშიო და ათი თუმანი ამ მზექალას თანადასწრებით ხელში ქე ჩამიღო, ასთე საშვილიშვილოდ დაუღიწყარი სიკეთე მიქნა. მე გიახელ იმერეთში, დავასათლავე დელაჩემი და იქიდან რო დავბრუნდი, სულ არ გაიარა ორმა თვემ, ნადირამ ფული ქე მომთხოვა. რადგან ხარჯი ბევრი მომივიდა და ფული ხელში არ მაქვდა, შევეხვეწე დაეცალა და შემდეგ მადლობით გადაუხდიდი ვალს, მაგრამ დალოცვილი ნადირა წასულიყო და ეჩივლა ჩემზედ სულში. როცა სულის უწყება მომივიდა, კიდე შევეხვეწე, რომე დაეცალებინა, მარა მითხრა: მეც თვითონ გაჭირვებული ვარო. როცა ამისთანა პასუხი მომცა, წვევდი თბილის ქალაქში ფულის საშოვნელად. იქ მყავდა ერთი ნათესავი, კაი დაგემართოს კაი ტახტის აზნაურშვილი ის არის, ნასწავლი ხომ მისთანაა, რომ მთელ ღუნიაზედ არ მეინახვება იმისთანა, იმან შიდრუსეთში იუდისტების ადვკანტების კურცი დაასრულა. ნასწავლი იყო მისთან, მისთანა, რომე რუსულს წყაღივით ლაპარაკობდა, წარმეიდგინე, რომე ზღაპარსაც კი იტყოდა რუსულად. მიველ მასთან და ვსთხოვე: მიშველე, ერთი ასი მანათი მასესხე-თქვა, კაცმა სიკეთე მიყო და სიავით ნუ გადამახდევებ-თქვა, იმ ჩემმა ნათესავმა ადვოკანტმა გამომკითხა, რად გინდა ეგ ფულიო და როგორც აუხსენი ყველაფერი, მკითხა, წერა-კითხვა ხომ არ იციო. მე ვუთხარი, არ ვიცი-თქვა. მაშინ იმან მითხრა: წადი და როცა სუდიამ დაგიბაროს. უთხარი, ატკაზს ვეუბნები-თქვა, შენ სხვა არაფელი არ გინდაო, თავისუფალი გამოხვალო. ეს ატკაზი ფულის დაცლა მგონია, თვარა მე მაგ კაცმა გაჭირვებაში ხელი მომი-

მართა და მაკას უარს რავე ვეტყვი, თავის ფულს რავე არ მივსცემ.

მსაჯულა. И не поняль, куда онъ отправился, переведите!

თანჯამანა. Онъ говорить, когда, говорить, я получилъ, говорить, повѣстка, говорить, отправился, говорить, Тифлисъ, говорить, такимъ хорошимъ заразился, какой у меня, говорить, билъ, говорить, тамъ хорошій краватскій дворянинъ, говорить, который, говорить, такой образовательный человекъ нигдѣ не билъ, говорить. Онъ учился, говорить, въ самомъ Іудейскомъ курсѣ, говорить, пришелъ, говорить, главнымъ адвокатомъ. Онъ билъ, говорить, такой, такой ученый, что порусски сказки могъ сказать, говорить, и по русски говорилъ, говорить, какъ вода, говорить.

მსაჯ. Я ни васъ, ни его вовсе не понимаю. О какомъ это Іудейскомъ адвокатѣ говорите.

თანჯ. Ва, я вратъ не могу, какъ онъ говорить менѣ, такъ и я тебѣ говорю. (სადიკას და ბიჭიას საქმის კარსკვის დროს ახარეკა გაშტრეგებული იუურება აქეთ-იქით და ამოხბს: ეს როგორ რჯულ-სამართალია? დიდის ღმერთის მადმა სვენ ეს არ გამოგვადგების. ამ დროს მოვარდება იასული ჩეკილა და მათრახს წაჭკრავს ახარეკას და ეტყვის: „აი თქვე დათვებო, როდის იქნება, რომ თქვენ განათლდეთ?“).

ახარეკა. (იქით). ტყუილი და ავაზაკობა არის განათლება? ან მერატრატე იასულმა უნდა თავის გაქეციანებული მათრახით გაგვანათლოს? დიდის ღმერთის მადმა მთელი ქვეყანა გატრუვდების, ყოველ ჩვენ ქვემარტივებას და წმინდა რწმუნებას ბნელი გადაეფარების, ეს რა ამბავი გვესმის, ვაყებო?

ბაჭია. ძმაო ნადირავ, ცოლ-შვილს დავაწიდრებ და შენს სირცხვილს თავზედ არ დავიდებ; რაგარც შენ სინიღისით მამექეცი, ისტე მეც სინიღისიანად დაგხვდები. თუ კაცი ვარ, შენ ფულს მიწიდგანაც რომ იყოს, ამოვაძრობ და ჩავაბარებ. ღმერთმა ჰკითხოს იმას, ვინც ამისთანა ბრუდე გზაზედ გვაყენებს და ერთმანეთს გვაძულვებს. მაგრამ განა შენ არ იცი, რომ მე რალაც ატკაზია, ვერ მოვახერხებდი და არც შენ სუდში მოხვიდოდი.

მსაჯ. მაშ მოგსპო ეს საქმე?

ნადირა. ეს კაცი უარს არ ძეუბნება, შენი ჭირიმე, სუდიავ, და გთხოვ მოსპოთ.

ბაჭია. ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახი, ჩემო ნადირა. (მსაჯულსა საქმეს მოსძობს. დაიწყება მესამე საქმის გაჩვენება).

მსაჯული. ნებიერ ლეკაიძე და ქისტი უცაი უნახკაევი. (ლეკაიძე წარმოდგება მსაჯულის წინაშე, მხოლოდ ქისტი უცაი არ გამოცხადებულა).

მსაჯ. მაზრის უფროსმა გადმოსცა ჩემზედ შენი ცხენის მობარვაზედ პროტოკოლი ქისტი უნახკაევის მიერ. ამ საქმეზედ უწინაც იყავი შენ დაბარებული და რადგანაც არ გამოცხადდი, შენ შეგაწერე შტრაფი 25 მანეთი.

ლეკაიძე. (გაშტერებული იყურებს, ტუჩებს აკვნეტავს). მე სრულებით ნაჩაღნიკისთვის არ მითხოვნია, რომ ჩემი საქმე სუდში გადაცემულიყო; მე იქავე ვსთხოვე, რომ სუდში ნუ გადასცემთ ამ საქმეს და ქისტებს სხვა ცხენებსაც ვაჩუქებ-მეთქი. როგორ, ქისტებმა ორ-ორი ცხენი დამილუპეს და შტრაფს მე მაწერამთ? ჩემთვის საინტერესოა შემატყობინოთ, ქურდს რამდენი შეაწერეთ შტრაფი; ვინ გაცარცულია და დარბეული, კიდევ იმას სჯით და ქურდ-ავაზაკს კი ხმას არა სცემთ?.

მსაჯული. შენ აქ ხმა-მადლა ნუ ლაპარაკობ, თორემ ვხლავე პროტოკოლს შეგიყენებ და პასუხის-გებაში მიგცემ.

ლეკაიძე. თუნდა პროტოკოლი შეაყენე და თუნდა აქტი,

ამაზედ მეტს რაღას მიზამ? ქისტებმა ორ-ოლი ცხენი მომპარეს, შენ შეღავათის და შევლის მაგიერ შტრაფებს მაწერავ; ამაზედ მეტს რაღას მიზამ? მე ამ ყოველ თქვენს უწყსოებას უმაღლეს მთავრობას ვაცნობებ და იმედია, რომ ჩემს ნამსახურობას პატივსა სცემენ. მართალია, მე სწავლა არ მიმიღია, მაგრამ ჩემს ვაჟ-კაცობას არც ას პროფესორზედ გავცვლი და არც არავის თავს დავაჩაგვრინებ. მე მალე გაგაგებინებთ, როგორ დავაჩაგვრინებ ჩემს და ჩემი მოძმეების თავს წუნკალა ქისტ-ლეკებს. (ლეკაძე მოხრუნდება და გაკუპოვდება კარეთ გასასულელად და საღხს მიჰმარაფს): ძმობილებო, აქ არავინ გეგულე-ბათ კარგი ადვოკატი, რომ მივანდო ეს საქმე სუდიდან გამოსატანად და მოსასპობლად, რომ სულში უსაფუძვლო წასვლა-მოსვლით არ მოვსცდე. (ლეკაძეს იქვე უჩვენებენ ადვოკატს, რომელსაც იქვე დაუწყებს ღაზარაფს): თქვენ შეგიძლიანთ, ადვოკატო, ეს ჩემი საქმე აიღოთ?

ადვოკატი ბასრა. (დაბალ-დაბალი კაცია, უღვაშ-მომხარული, ბაკუშანდებთან, ეტყობა, რომ დიდი ფული და გაცემთაღი კაცია). ხელობა რა არის ჩემი? აპელაცია, კასსაცია, აპრედელენია, ჩასტნი ჟალობა, ეგ სულ ჩემ ხელშია. ქალღი დაღსწერო ისეთი, ქვაზედ რომ დასდო, სულ მტვრად აქციოს.

ლეკაძე. მე კასსაცია არ ვიცი, მე ცხენები მომპარეს ქისტებმა, ნაჩაღნიკს სულზედ გაღმოუცია და მიღდა მოვსპო, რომ არ მაწვალონ, აქ ტყუილად არ მათრიონ...

ზარ-იქაი. თუში. მე ღღეს დაღესტნითგან მოვეღი, იქ ერთი კაი მეგობარი ქისტისაგან გავიგე: შენ რომ ქისტისთვის ცხენზედ გიჩივლია, იმას შეუკრებია თორმეტი შეიარაღებული ვაჟკაცი და ამღამ დაცემას, ამოხოცვას და საქონლის წართმევას გიპირებენ.

მგელანა. აქ უყურეთ, ჩვენ გვცარცვავენ, გვგლეჯავენ და კიდევ ჩივილზედ თავ-დასხმას გვიპირებენ ჩვენვე.

ლეკაიძე. მართალი კი არის ეგ ამბავი?

თუში. მართალია, მე რომ ქისტეთიდგან წამოველ, ისენი გზაზედ ტყეში იყვნენ დამალულნი.

ლეკაიძე. დიდი მადლობელი ვარ, ძმაო ჩილოძე, რომ ეგ დროზედ შემატყობინე. აბა, ძმებო, მშვიდობით. თქვენ წადით და მე დაუხვდები იმათ, მე ერთი და ისენი თორმეტნი.

ანაბრეკა. არა, ძმაო, შენ მარტოს არ გაგწირავთ.

ლეკაიძე. მე ეხლავე ჩემ ხარიმს ავისხამ და ვნახოთ... აქ გამოჩნდება ჩემიცი და იმ წუნკალების ვაჟ-კაცობაც. (ხალხი გავა, შათ ლეკაიძეც მიჭყეება. როცა ისენი გაფლეს, კარებიდან თითო-თითოდ ფრთხილად შემოიხარება თორმეტი ახვით-ფეხმდე შეიარაღებული ქისტი. ერთი მათგანი უჩვენებს სხვებს ლეკაიძის სახლისკენ).

ქისტეა. ნეტაი სად იქნებიან ან საქონელი და ან თითონ ლეკაიძე, რომ ვაჩვენოთ, როგორ უნდა ნაჩაღნიკთან ჩივილი. (ამ ლაპარაკის დროს მარჯვენა კარებიდან შემოფარდება აღელვებული, მხარზედ ძვირ-ივან ხარამის თათუ გადატებული და ეწიშებით ჯვარედინად გულ-მოქუდილი ლეკაიძე და როცა დაინახავს ქისტებს შეჭკივლებს სასარდლის ხმით).

ლეკაიძე. თქვენ მობრძანდით ჩემ ასაკლებად? თქვენ გგონიათ, რომ ჩვენ ისევ ის თუშნი არა ვართ და უწინდებურად ჩვენს თავს ველარ მოვუვლით? მე გაცურებინებთ, როგორც დასჩაგრავთ თუშ-ფშავ-ხევსურთ. (თათუს უკან იტდებს, იძრობს ხმალს და შეჭკივლებს საშინელის ხმით): თქვე წუნკალებო, თოფები დაჰყარეთ ეხლავე, თორემ ჩიტებსავით თავეგს დაგაყრვეინებთ!.. (ქისტებს ხელები უკანკალებით, თუშცა თათუები მაშკერალი აქვთ ლეკაიძისკენ. ლეკაიძე, როგორც ღამში ისე გადაერევა ქისტებში, ხელიდგან თათუებს წაჭტლევავს და გადმოჭყრას. შემდეგ დაერევა ქისტებს, ზოცს თავს მოკვდიანებს, ზოცს ეურს, ზოცს ჭკლავს, ზოცს ვაჟატურად ივენს კამოსლებს და ძირს დასტეპს. ამ სახით ეგუდას წაქტეკს დაღწილ-დახატელებს. ხალხს შემოესშება მრისხანე ვაჟატური ხმაურობა, შემოტევა-დეტიან ოტდა-ათ კანამდე...

ელიზბარ გუგუშვილი.

ს ვ ა ნ კ თ ი .

აიღეთ ხელში გეოგრაფიული რუქა, გადაშალეთ, მონახეთ მდინარეები ინგური, რომელიც პირდაპირ შავს ზღვას ჩაერთვის, და ცხენის-წყალი, რომელიც მდინარე რიონში ჩაღის, გადალახეთ სამეგრელო-ლეჩხუმი და თქვენ წინ გადაიშლება მეზობელი სვანეთი, მდებარე ხსენებულ მდინარეების სათავეთ შუა.

სვანი თავის ქვეყანას ეძახის „შვანს“, ხოლო თავის თავს „მუშვანს“. მისს მეზობელს ქვეყანას „სამეგრელოს“ სვანი ეძახის „ზანს“, ანუ „ოდიშს“ (მუზან—მეგრელი *), ხოლო ეს უკანასკნელი-კი მას ეძახის „შონის“. მეზობელი ხალხი მაჰმადის სარწმუნოებისა—ყაბარდოელები იწოდებიან სვანების-მიერ „სავიარ“-ად (ქვეყანას ეძახიან „სავ“-ს), ხოლო სვანებს უწოდებენ „ებზე“ (ებზელერ).

სვანმა თავის ჩამომავლობაზედ არაფერი არა იცის-რა. წერილობითი ცნობებიც სვანეთის შესახებ ძლიერ ცოტაა, როგორც ქართულს, ისე უცხო მატრიანებშიაც. ვინ არიან სვანები, ან საიღვან წარმოსდგნენ—ეს კითხვა ჯერაც არ არის ნათლად გამოარკვეული. ზოგიერთნი სვანებს საქართველოს ნათესავის ტომად აღიარებენ, ზოგნი-კი წინააღმდეგნი არიან ამ აზრისა, თუმცა-ღა თავის აზრს ფერაფრით ვერ

*) იხ. ესტატეს კომენტარიები (XII სსუკ. ქრ. შობის შემდეგ) 765 მუხლი. მაკრონიები ჰონტიის ხალხის, მცხოვრებნი იქით, ჩრდილოეთისკენ. ესლა ისინი იწოდებიან სანსებად (Fávov), ანუ უფრო ხშირად „ზანსებად“ (Psávov).

ასაბუთებენ. პირველს აზრს ადგანან მე-XVII საუკუნის მწერალნი დოსითეოსი—იერუსალიმის პატრიარქი, შარდენი, გიულდენშტედტი (XVIII საუკ.) და კლაპროტი და დიუბუა დემონპრე—ახალნი მწერალნი. უმრავლესი ნაწილი ახალ მწერლებისა-კი არ ეთანხმება ამ აზრს და არც მოჰყავს რაიმე მაგარი საბუთები, რომ მათი სიტყვა დასაჯერებელი იყოს. (ამ დასს ეკუთვნის ბ. სტოიანოვი, თუ კი ეს პატიოსანი მუშაკი—„სვანური ენის მკოდნე“ (?) ნებას მოგვცემს ჩავსწეროთ იგი მწერალთა რიცხვში).

ჩვენის ფიქრით, სვანები ეკუთვნიან ქართველობის ტომს. მართალია, ასეთის აზრის წარმოთქმას ზოგიერთნი აჩქარებდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ამ აზრს ვერაფერ ვერ შეგვაცვლევინებს, დარწმუნებული ვართ რა იმაში, რომ დღეს თუ ხვალ ეს საკითხავი დაბოლოვდება და ყველა აღიარებს სვანებს ქართველთა ნათესავის ტომად. ამ აზრის თქმას გვაბედვინებს შემდეგნი მოსაზრებანი: პირისახით სვანი ძლიერა ჰგავს საქართველოს სხვა-და-სხვა მთიულ ხალხს—ფშავ-ხევსურებს. გარდა ამისა სვანების ზნე-ჩვეულება ბევრათა ჰგავს ქართველების ყოფა-ცხოვრებას. პირველ ნახვავედ სვანი შეიძლება ძნელი გამოსაცნობი იქმნეს, მაგრამ თუ დაუუკვირდებით მას ახლოს, დავრწმუნდებით, რომ ის ქართველთა ნათესავის ტომს ეკუთვნის. სვანური ენა (თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ), რომელიც პირველს გაგონებაზედ უცხო ენად ეჩვენება კაცს, თითქმის იგივე ქართული ენაა. სამი მეოთხედის სვანურის სიტყვებისა ნამდვილი ქართული სიტყვებია. ამას გარდა სვანურს სოფლებს უმეტეს ნაწილად ქართული სახელები ჰქვიათ. სვანური გვარები ხომ სულ ქართული გვარებია. ეს აზრი არც ქართველ მემატრიანეთა აზრს ეწინააღმდეგება. სიტყვა სვანეთი მათის ფიქრით, წარმოსდგა სიტყვისაგან „სვანეთი“. ამავე აზრის სასარგებლოთ ლაპარაკობს ის, რომ სვანები თავისი ქვეყნის გაყოფის დროს ხმარობენ სიტყვებს „უაბე ხევ“ (ზედა ხევი) და „ჩვაბე ხევ“

(ქვედა ხევი). ასევე ხმარობდნენ წინეთ საქართველოს სხვა მთიული ხალხნიც. სვანეთი სავსეა ძველებური საყდრებით, ხატებით, ტყავზედ დაწერილი ძველი საღმრთო წიგნებით და სხვა ძვირფასი ნივთებით. რისთვის უნდა აეშენათ სვანეთში ქართველებს ამდენი აუარებელი ეკლესიები, ან რისათვის უნდა ეგზავნათ სვანეთში ქართველებს ამდენი სიმღიდრე, თუ-კი არა სთვლიდნენ სვანებს თავის მოხანათესავე ხალხად?.. აქ არ იქმნება ურიგო მოვიყვანოთ უცხო და ქართველ მწერალთა აზრი სვანეთის შესახებ.

სვანეთი პირველად ცნობილია ქრისტეს შობამდე 2¹/₂ საუკუნის წინეთ საქართველოს პირველი მეფის ფარნაოზის დროს. ფარნაოზ მეფე თავის სიძეს ქუჯს ამწესებს სვანეთისა და ეგრისის ერისთავად. ქრისტეს ამალღების შემდეგ ანდრია მოციქული სიმონ კანანელთან ერთად და სხვა მოწაფებითურთ, რომელთა რიცხვში მატათაც იხსენიება, ჰქადაგობს ქრისტიანობას მესხეთსა და აფხაზეთში, აქედგან მიდის სვანეთში, რომელსაც ქალი მართავს და რომელიც ქრისტიანობას იღებს. მატათა და სხვა მოწაფენი რჩებიან სვანეთში, ანდრია-კი სხვა მოწაფებითურთ მიდის ოსეთისაკენ. ეს არის ქართველ მემატიანთა აზრი. ამ აზრსავე ეთანხმებიან ბერძნების მწერლები. მათში ერთი ფიქრობს, რომ სიმონ კანანელი მოჰკლეს სვანებშაო.

ბიზანტიის მწერლები სტრაბონი (66 წელს ქრისტეს შობის წინეთ და 24 წ. ქრ. დაბადების შემდეგ) და პლინი (29—79 წ. ქრისტეს შემდეგ), რომელთაც ასწერეს რომაელებისა და სპარსელების ომი მე-V და VI საუკ. ლაზისტანის გულისათვის, იხსენიებენ სვანებს და უწოდებენ მათ „სოანებად“. „...სოანები სცხოვრებდნენ დიოსკურიის ახლოს... ისინი იყვნენ ძლიერი მეომარნი, ჰყავდათ საკუთარი მეფე და ჯარი, შეეძლოთ 200,000 ჯარის კაცის გამოყვანა. ჯარი ძლიერ გაშბედავი იყო, მაგრამ გაუწყობელი. „სოანები“ ისარს შხაზავდნენ, რომლის სუნი იმ წამსავე ისტუმრებდა დაჰრილს.

ისინი თავიანთს მდინარეებში ბევრს ოქროსა პოულობდნენ ნადირთა ტყავების შემწვობით. სვანეთის უფროსს ნიშნავდა კოლხიდის მმართველი. „სოანები“ ეხმარებოდნენ სპარსელებს რომაელების წინააღმდეგ ომში. იმათ მიიღეს ქრისტეს სარწმუნოება კოლხიდელებთან ერთად და იცავდნენ მას მაგრათ (Сборн. мат. для опис. мѣстн. и пл. Кавказа, В. VI. стр. 66, 104, 107). მატეანის სიტყვით მე-VII საუკუნის მეორე ნახევარში არჩილმა, გიორგი ერისთავის ძმამ მიიღო წილად ეგრისი და სვანეთი. მე-VIII საუკუნის გასულს, მეფის ლევან მეორის დროს, აფხაზეთი, რომელშიაც შედიოდა იმერეთი სამეგრელოთურთ, გაიყო რვა საერისთაოდ და სვანეთიც ცალკე საერისთაოს შეადგენდა. მე-XI საუკუნის დამლევს მეფე გიორგი მეორის დროს სვანეთის ერისთავად ნაჩვენებია ვინმე ვარდანი, რომლის ჩაგონებით სვანები აჯანყდებიან და თავს ესხმიან სამეგრელოს. მე-XII საუკ. თამარ მეფის შამის დროს, სვანები ერივნენ შანშე დადიანის ჯარში და აოხრებენ სომხეთის ქალაქს ანისს. ისინი დაესწრნენ ქუთაისს თამარის გვირგვინოსნობის დროს. მათი ერისთავი იყო ბარამ ვარდანიძე. სვანებს იტყუებენ შეთქმულებაში თამარის წინააღმდეგ მისი ქმრის რუსეთის თავადის სასარგებლოდ. თამარს აჰყავს პირველ მინისტრისა და ჯეონდილობის ხარისხზე ვინმე სვანი, გელოვანთა გვარის უფროსის შვილი, რომელიც სცხოვრობდა განდევილ-მწირად გარეჯის მონასტერში. მე-XIII საუკ. პირველს ნახევარში რუსუდანის დროს ათაბეგის ივანე მხარგძელის ჯარში ერივნენ ლეკები და სვანები 40,000 კაცამდე. სომხების ისტორიკოსების სიტყვით საქართველოში მონგოლების შემოსევის დროს რუსუდანი თავისი შვილით თავს იფარავს სვანეთში, სადაც მოდის მოსალაპარაკებლად ორი თათრის მოციქული. ბაგრატ დიდის დროს (მე-XIV საუკ. დამლევს), სვანები თავს დაესხნენ ქუთაისს და გადასწევს. ბაგრატი აუარებელი ჯარით შედის ს. ეცერში, რომელიც სადადეშქელიანო სვანეთში სძევს, სჯის

დამნაშავეთ და აცხრობს მათ. ბაგრატი ჩამოართმევს ერის-
თაობას ვარდანიძეს და შემდეგ ისევ შეიწყნარებს და გადა-
ჰყავს გურიაში. სვაბებს-კი აძლევს გელოვანს. ამ გვარად
თამარ მეფის დრომდე სვანეთი ხან საერისთავოს შეადგენდა,
ხან დადიანებს ეკუთვნოდა; თამარის დროს-კი იქ ერისთავად
იყო ბარამ ვარდანიძე. მისი შთამამავლობა უფლობდა სვა-
ნეთში ბაგრატის დრომდე. გელოვანების გვარი ძველებურია.

სვანეთს უჭირავს მალლობი მთიანი ადგილი. ის ყოველ-
ლივე მხრით შემოზღუდულია მალალი და აუვალი მთებით,
რომლებზედაც ზამთარ-ზაფხულ თოვლი სძევს. შიგნით სვა-
ნეთი დაყოფილია ქედებად (ზუგებად), რომლების სამხრეთი
ნაწილი ხშირი ტყით არის დაფარული, ხოლო ჩრდილოეთისა—
მალალი ბალახით, სადაც დაუდით დიდძალი საქონელი საძოვრად.
ეს ზუგები, ანუ მთაგრეხილები გამოდიან უმთავრესი კავკასიონის
ქედიდან. უმეტეს ნაწილად ეს გრეხილები შესდგება კაჟისაგან,
რომელიც აქა-იქ მუქ ფერს იკრავს. ამ ზოლებს შუა, ბევრ-
გან, პირდაპირ სათავეებთან გაჭიმულან ვეებართელა საყინუ-
ლები (ოლ—სვანურად), რომლების სიგრძე ხანდიხან 10—16
ვერსამდის მიაღწევს. ეს საყინულები შეუმჩნეველად მიიზლა-
ზნებიან ქვეით და ქვეით. ზოგიერთნი მათგანნი თითქო და-
კიდებულან მთაზედ და ისე მაგრად აწვეებიან იქით-აქედგან,
რომ აგერ, ერთ წამს, მოსწყდებიან და მათი შემადრწუნებე-
ლი ხმაურობა იქაურობას ზარსავით მოეფინებაო. საზარელი
სანახავია საზოგადოთ საყინულე. რამოდენიმე ვერსის სიგრ-
ძეზედ გაჭიმულია ქვასავით მაგარი ყინულის მინდორი, რომ-
ლის ზედა პირი დაფენილია ხან ნემსივით, წვეტიანი ყინუ-
ლებით, ხან უზარ-მაზარი რკინისა და კაჟის ქვებით, ხან
მიწით და ხან რით. ესენი ნაშვავებია. აგერ ნემსივით წვეტიანს
ყინულზედ წამოსკუპულია უშველებელი ქვა, რომლის (ზა-
ფხულობით) ტემპერატურა აღნობს გარშემოვლებულს ყი-
ნულს, ბოლოს ველარ იმაგრებს თავს და შემადრწუნებელის
მაურობით ვარდება ვეშაპისებურ ხახა დაღებულს საყინულის

მუცელში და იკარგება უფსკრულში, სადაც მას უარესი დღე აღვება. ამ უზარ-მაზარი საყინულეებიდან გამოდიან სვანეთის ღრილა და ცივი მდინარეები. ზაფხულობით ეს მდინარეები მუქი ფერისაა. ეს იმიტომ, რომ საყინულე, რომელიც შეუმჩნეველად ქვეით და ქვეით მიიზღაზნება, აწვება მის ქვეშ მდებარე ქვეებს, მტვერად აქცევს მათ, რის გამოც წყალს მუქი ფერი ეძლევა; და უერთებს მის ქვეშ მიმდინარე წყალს, რომელსაც მიაქვს ეს შეზავებული მადნეულობა, გადის კლდე-ღრიანკელებში, სადაც უარესი დღე აღვება, ქაფდება, იკვრის ბურთსავით, ისვრის ვეებართელა ზვირთებს, გადაჰქუხს და იქაურობას ელეკება. რასაკვირველია, ამის გამო ქვიშაში ბევრი მადნეულობაა შერეული. ამ ბუნების სავსებით კალმით აღწერა არ შეიძლება. მკითხველი მხოლოდ მაშინ მიხედება ამას და შეისწავლ-შეიგნებს, როდესაც თავისი თვალით ნახავს მათ, ამ უსულო ვეშაპებს, და მათზედ მოგზაურობით გაძლება... რაო? განა ყინულზედ მოგზაურობა შეიძლებაო?—იკითხავს ზოგიერთი მკითხველი. დიახ, სასიამოვნო (ჩემთვის და სხვისათვის არ ვიცი, მკითხველო!) სანახაობას წარმოადგენს საყინულეებზედ მოგზაურობა. სვანი ძლიერ დახელოვნებულია მათზედ მოგზაურობით. არა მგონია ვინმე შეედრებოდეს მას ამაში, ვერც ალპინისტი, ვერც სხვა ვინმე. სვანს თუ ყაბარდოსკენ, ყეგემ-ბახსანისაკენ მოუხდა წასვლა, უსათუოდ საყინულეებიც უნდა გაიაროს. ამ შემთხვევაში რამდენი კაციც უნდა იყვეს, ზოგიერთს საშიშ ალაგას ერთმანეთს გადაებმებიან თოკით წელზედ, ერთი წინ მიდის, ხელში ჯოხი უჭირავს და თოვლიანს ალაგს, რომელიც საშიშია ჩატეხისაგან, ჯოხით სინჯავს, სანდო არის, თუ არაო. ხშირადაა, რომ ზემოთ თოვლი სძევს, ქვეშ-კი ღიაა, ნაპრაღია საყინულესი და თუ ამისთანა ალაგას დააბიჯე ფეხი, უფსკრულში ჩავარდება. აი, ამ შემთხვევისათვისაა გამოსადეგი თოკი. წინა კაცი რომ ჩავარდება, იმას მეორე დაიჭერს, მეორეს მესამე და ამ გვარად ბოლო-

მდე. ბევრგან სვანეთის მთის ქედები შესდგება შავი შიფერი-საგან. მზა ასპიდის ფიცარი ყველგან მოიპოვება; სვანი მით სარგებლობს, პურს აცხობს ზედ და სახლებს ხურავს. მთებში ბევრგვარი მადნეულობაა: ოქრო, ვერცხლი, სპილენძი, რკინა, გოგირდი და სხვა. ეს იმითი დამტკიცდება, რომ თითქმის ყოველს ნაბიჯზედ თქვენა ხედავთ რკინისა, გოგირდისა და სხვა მადნეულს წყლებს, რომლების სიმრავლეს კაცი განცვიფრებაში მოჰყავს. შესანიშნავი წყლებია: ს. იფარში—გოგირდის წყალი, რომელიც კანს უხდება; ს. მუჟალ-მულისში—რკინისა და მჟავე წყლები, სასმელად მშვენიერი, ს. ბეჩოში—მჟავე წყალი, ს. ცხუმარში მჟავე წყალი და სხვ.

შესანიშნავი მწვერვალებია: ვიშბა *) (17,000 ფუტი), თვეთნალდ, მუშურ, ლატფარ, ლეხზირ, ლასილ.

სვანეთი გაჭიმულია სამხრეთ-დასავლეთიდგან აღმოსავლეთ-ჩრდილოეთისაკენ კავკასიონის ორ ქედ შუა; სიგრძით აქვს 10—100 ვერსი, ხოლო სიგანე ზოგგან 10—20 საჟენამდე ივიწროებს. უჭირავს ძლიერ მაღლობი ადგილი და თითქმის ოთხივე კუთხით შემოზღუდულია მაღალი მიუვალი, ციცაბო მთებით, რომლებზედაც მუდამ თოვლი სძევს. ადგილი წარმოსადგენია, რომ ამის გამო სვანეთის ბუნება სასტიკი იქნება. ზამთარი სვანეთში 7—8 თვეს გასტანს. ოქტომბერში, ხანდისხან სექტემბერშიაც აქ თოვლი სძევს და გადასასვლელი მთაგრეხილები იკვრის. მხოლოდ ივნისის დამლევს იწყობა მთაზედ მისვლა-მოსვლა, რასაკვირველია, ცხენითაც; მანამდასინ კი სვანები დამწყვდეულნი არიან ერთს ალაგას და არსად თავისუფალი გზა არა აქვსთ. ზამთარში აქ თოვლი ხან ორ-სამ არშინამდე მოდის, ზან-კი ნაკლები. სიცივნები იცის, მაგრამ არც იმდენად სასტიკი, როგორც რუსეთში

*) ეს სიტყვა: ვკონებ: თათრულია: ვიჩ ბაშ—სამი თავი; ორი წვერი ეხლაცა სჩანს, ხოლო შესამემ აღბანდ იკლთ და გასწორდა ღანაჩენთან.

(ორთა შუა რიცხვით 12—14%). ყინვები, თუ ცოტა თოვლია, უფრო მძლავრია; დიდს თოვლიანობისას-კი მაინც დამაინც სასტიკი ყინვები არ იცის. მზეს ზამთარში ძვირათ თუ დაინახავს სვანი; ის ან სულ დაფარულია ღრუბელით, ან ოდნავ-ლა მოსჩანს. სვანი სიცივეს ძლიერ იტანს, ის სიცხეს იმდენად ვერ აიტანს, რამდენადაც სიცივის ატანა შეუძლიან. ხშირად სვანი მოგზაურობის დროს მთელს ღამეს თოვლში ათენს. მისი ლეიბ-საბანი თოვლია, მაღლა ცა და ღამის დარაჯი-კი, უზარმაზარი მთები, რომლებიც უფრო მომეტებულს სუსხს უგზავნიან მას. ასეთი ღამეები თითქმის ყოველ სვანს ახსოვს, მაგრამ ის გულ-გრილად იხსენიებს მათ და ერთი სამღურავიც არ წამოსცდება.

გაზაფხული, ზაფხული და შემოდგომა-კი სვანეთში საუკეთესო დროა. ესენია: ივნისი, ივლისი, აგვისტო და ენკენისთვე, სწორეთ, ეს ოთხი თვეები უმშვენიერესი თვეა სვანეთისათვის და მგზავრისათვისაც. ამ დროს თქვენ არც სიცივე გაწუხებთ და არც სიცხე. თქვენ წინ გადაშლილია მშვენიერი სანახაობა: ტყე შემოსილია, მთები ამწვანებულია მაღალი ბალახით, ყანები და მინდვრები თქვენს თვალს ატკობენ, მდინარეები აღიდებულან, მირბიან ღრიალ-ღრიალით; აგერ წყალი ეძგერება თამამად უზარმაზარ ქვას და გაიტანს, აგერ კლდის ნაპირს ჩამოლეწავს და მტვერად აქცევს, იკვრის ბურთსავით და თავ-დაღმა გამომეტებით ეშვება. შიგ-კი უუტკბილესი კალმახი სცხოვრობს. ჰავა ამ ოთხს თვეში ზომიერია: სიცივე არ იცის, გვალვა-კი ნაკლები მოვლენაა. სვანეთში ნიადაგი მიწისა ბევრგვარია და საზოგადოთ-კი ნოყიერი.

მღვდ. ი. მარჯვანი.

(შემდეგა აქნება).

ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა

კლარჯეთ-მესხეთისა *)

მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ, ჩვენი აღორძინებული მდგომარეობა დიდხანს არ იქმნა, ასეთის ბედნიერებით ჩვენ დიდხანს არ დავრჩით. ჩვენს მოსისხლე მტრებს შეშურდათ ჩვენი შინაური მშვიდობიანი მდგომარეობა, ჩვენი აყვავებული ცხოვრება, ჩვენი ვანვითარება, მწიფობრობა, ხელოვნური მხატვრობა, ხელოსნობა, სიღარბაისლე, ერთობა და ქვეყნის სიყვარული, შურის მეოხებით დაბრმავებულმა მტრებმა დაგვიწყეს მტრობა და აქა-იქიდამ ერთობის ძირის თხრა. საქართველოს ჯერეთ ისევ დიდებისა და ძლიერების სხივები ემოსა გარს, როცა ოსმალ-სპარსებმა თავის აწევა იწყეს და საქართველოზე ჩუმ-ჩუმათ ილაშქრებდნენ. მტერი ყოველთვის პირველათ მესხეთს ეცემოდა, რადგანაც ამათ ისე არც ერთის მხრის ქართველებისა არ ეშინოდათ, როგორც კლარჯეთ-მესხეთის, მაგრამ ესენი აქხშირათ ვერაფერს აწყობდნენ და ძლეულნი უკან ბრუნდებოდნენ. კლარჯ-მესხნი იყვნენ მეტათ ხელ-ღონიერნი, როგორც ღღეს მთიელნი, შემაერთებელნი, მხნე, ერთგულნი, ქვეყნისათვის თავ-დადებულნი. კლარჯ-მესხეთისყოველს ქართველს გულში მტკიცეთ ჰქონდა ჩანერგილი ქვეყნის ერთგულების უზომო პატივისცემა, სარწმუნოების და მამა-პაპათა ზნე-ჩვეულების მტკიცეთ შენახვა. ამ მხრის მთავარნი ჯაჟუღნიც გამოჩენილნი იყვნენ სამსახურით, ესენიც დიდის ერთგულებით ემსახურებოდნენ ჩვენს სამშობლოს.

*) იხ. „მოგზაურა“ 1902 წ. № 4.

ესენი საქართველოს ყველა კუთხის მთავრებს სჯობნიდნენ ერთგულებით. მინამდის ესენი ერთგულათ იყვნენ, მინამდის მტერი ვერას აკლებდა ჩვენს ქვეყანას. კლარჯეთ-მესხეთი ყოველთვის უვნებლათ შთებოდა და ამის მეოხებით მთელი საქართველოც: როცა ამათ სამშობლო ქვეყნის ერთგულ სამსახურს პირი არიდეს და უკულმა დაიწყეს ტრიალი, მის შემდეგ საქართველოს საქმეც უკულმა გადატრიალდა და საქართველოზე თავისუფლათ იწყეს ჩვენმა მტრებმა თარიშობა-ნადირობა. შინაურ უთანხმოების მეოხებით მტერმა დაიჭირა კლარჯეთ-მესხეთი და მასაც იგივე დღე დააყენეს, რაც ოდესმე დევნილს და ბედკრულს არმენიას. სხვის უღლის ქვეშ შესვლის შემდეგ კლარჯეთ-მესხეთში დაეცა ყველა ის სანაქებო მხარეები, რაც აქ ძველის-ძველათ აღორძინებულიყო და აყვავებულიყო ჩვენის ძველის-ძველ დაბრძნილ და ხელოვან მამა-პაპათა მეოხებით.

ასე და ამ გვართ ამოდენა ვრცელს მხარეში, როგორც არის კლარჯეთ-მესხეთი, სადაც ქართველის ერის სახელი ერთ დროს ძალოვნების არსებობით და დიდებით, გაისმოდა, სადაც ქართველთ პირველათ შეიწყნარეს მაცხოვრის სიტყვა, სადაც პირველათ აღორძინდა ხელოსნობა, ხელოვნება, ტაძრების კეთება, მწიგნობრობა და სხვანი; დღეს იქ ამაების აღარაფერია, ყველაფერი აღმოიფხვრა, მოისპო და მით ფუჭათ იქცა მრავალ ძველ დაბრძნილ ქართველთ მწიგნობართა, მთარგმნელთა და მეფეთა შრომაც. უბრალოთ დაიკარგა ქართველთ პირველ საუკუნოების მქადაგებელთა სიტყვანი, სრულიად მოიხოცა აქ ამათი სწავლა-მოდღვრების გრძნობები, მოისპო ყველა ის ნაშთები და ძეგლები, რაც ოდესმე კლარჯ-მესხელთ დიერთა მამულიშიღლია და მწერლათ მეოხებით აღორძინებულა. ეს მხარე ძველათ აკვანი იყო ჩვენის მწერლებისა, დღეს კი ეს აკვანი მოლიათ დამსხვრეულია, იგი იყო მანათობელი კერა და მკერის გარშემო ოსხდნენ და მოღვაწეობდნენ ქართველთ მთარგმნელი მამანი და ბრძენი

მწერლები. დღეს ეს კერაც გამქრალია და ცარიელს ნაცარს-
 ლა წარმოადგენს. იგი იყო ტაძარი დავითიანთა, სადაც მუდ-
 მივ უქრობელი ლამპარი ენთო, სადაც ოთხსავე კუთხივ გა-
 ლობის ხმა გაისმოდა, სადაც დღე-ღამ ბარისა და ნიჩბის
 ცემა ისმოდა და სადაც ყოველი დაბა, სოფელი, გზა-კვალი
 და ტაძრები დიდის დიდებით შენდებოდნენ. დღეს აქ ამაების
 აღარაფერია დაშთენილი, ლამპარიც გამქრალია და ყოველნაირი
 გამაცოცხლებელი საქმიანობის ხმაურობაც აღარ ისმის, ყველ-
 გან სიმკვდრე-სიჩუმე სუფევს. მთელს კლარჯეთ-მესხეთს შავები
 აცვია და მგლოვიარებს მწარეთ. მასთან უნდა იმგლოვიაროს
 ქართველობამაც, რომ ამ მხრის ყველა საუკეთესო მწიგნო-
 ბართ შრომანი დაკარგულ და ფერფლათ იქმნა ქცეული,
 მთლათ მოისპო ამათგან ნაწერი წიგნები. ოსმალთ მეოხებით
 დამწვარ-დადაგულ იქმნა მრავალი ძველი იშვიათი სიგელ-
 გუჯრები, მათ წერაქვის და სატეხის მეოხებით დამტვრეულ
 იქმნა მრავალი ეკლესიების ძველი წარწერები და ამით მო-
 ისპო მთლათ ჩვენთა ძველთა დიდთა მწიგნობართა ცხოვრე-
 ბის ცნობებიც.

უბრალოთ დაიკარგა ბაგრატი მესამის მეცადინეობა,
 შრომა და ამაგი, უბრალოთ დაიკარგა დიდებულის ბაგრატი
 მეოთხის ღვაწლი, ამისი თავ-გადადებული შრომა, ამისი
 მუდმივი ერთგულება, ამისი ნატვრა—საქართველოს ბედნიე-
 რების შესახებ, ამისი ოსტატური პოლიტიკა საბერძნეთთან,
 რის მეოხებითაც დააწინაურა საქართველო, რის მეოხებითაც ამ
 დიდებულმა გვამმა დიდებულ და უკვდავი ჰყო თავისი სახელი.
 ამის დროს აღორძინებულ ქართველთ წარმატების საქმეებს
 რიცხვი არა აქვს, ნამეტურ მონასტერ-ეკლესიების შენებას.
 მაგრამ დღეს აქ ბაგრატის ბერი აღარაფერია დაშთენილი,
 ყველაფერი ფუჭათ არი ქცეული. ასევე გაუქმდა დიდებული
 დავით აღმაშენებლის შრომა, რომელმაც კლარჯ-მესხეთს მეტათ
 დიდი ღვაწლი დასდო, განაბურა აქ ყველაფერი, განამდიდ-
 რა ტაძრებით და სასწავლებლებით, შეაჩვია ხალხი მხნეობას და

გმირობას და მით აღიდა თვისი სახელოვანი და დიდებული სახელიც, მაგრამ დღეს ამ დიდებულ მეფის ხსენებაც აღარავინ იცის. ასევე დაიკარგა დიმიტრი მეფის და გიორგი III-ის შრომა და ამაგი და ნამეტურ სახელოვანი თამარ დედოფლის შრომა და ღვაწლი. ამ პირს კლარჯეთ-მესხეთზე იმდენი შრომა და ღვაწლი აქვს დადებული, იმდენი ამაგი და სიკეთე, რომ მას შემდეგ შეიდასი წლის განმავლობაშიაც აქ არ დაჰვიწყებიათ მისი სახელი, სამასი წელიწადია რაც კლარჯეთ-მესხეთი ოსმალთ დაიპყრეს და ამ დაპყრობით აქ ყველაფერი მოსპეს ქართველებისა, მოსპეს სარწმუნოება, ზნე, ჩვეულება და ბევრს ადგილებში ქართული ენაც-კი, მაგრამ თამარის დიდებული სახელი და ხსოვნა-კი ვერც ერთ გაფანატიკებულის მაჰმადიანის გულში ვერ გააქრეს და ვერ მოსპეს. ასევე უბრალოთ დაიკარგა გიორგი ბრწყინვალის შრომა და მრავალთა ერთგულთა ქართველთა ათაბაგთა, რომელნიც კლარჯეთ-მესხეთისთვის დაუკარომლათ შრომობდნენ და მოღვაწეობდნენ. მაგრამ რომელ ერთნი მოვთვალათ აქ, რომლებიც ამ მხრის სასარგებლოთ და ასამაღლებლოთ მოღვაწეობდნენ.

ნეტავ რას იტყოდნენ გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, შოთა რუსთაველი, იოანე შავთელი და სხვა დიდებულნი პირნი, რომ ამათ ნახონ თავიანთი სამშობლო და მასში მიწასთან ასე გასწორებული ქართველობა. დღეს აქ ხალი დაქვეითებულია სასტიკათ, ესენი ძველებურათ აღარც ქართველობენ, აღარც ქართველებისთვის გული შესტკივათ, აღარც მწიგნობრობას მისდევენ, აღარც სწავლა-განათლებას, აღარც მეურნეობას, მევენახეობას, ხელოვნობას, ხელოვნურს მხატვრობას და ბევრს კიდევ სხვა სანაქებო რამეებს. ესენი დღეს სულ სხვაფერ არიან შეცვლილნი. თავიანთ თავებს თათრად აღიარებენ, უარს ჰყოფენ თავიანთ შთამომავლობას, ენას, მით არღვევენ წმინდა გრძნობა-ქეშმარიტებას და მეცნიერულს შეხედულებასაც. ყველა ეს უბედურება მოხდა და გვეწვია ჩვენ ერთის მოლაღატის გამცემის პირისაგან, რომ-

ლის გვარი, ჩვენ უკვე ვახსენეთ და რომელ გვარის წევრებთან წინა დროებებში ბევრი შესანიშნავი მამულისშვილებიც გამოსულან, რომელთაც დიდის შრომით უმსახურნიათ კლარჯეთ-მესხეთისთვის და უკანასკნელ გამოვიდნენ ისეთნიც, რომელთა მეოხებითაც სულ ფუჭათ და ნაცრათ იქცა მათ მამა-პაპათა-მიერ დაწყობილი საღალატელო საქმენი. ესენი იყვნენ აქაურნი ათაბაგნი—ჯაყელინი.

ათაბაგთა გვარის ცნობები საქართველოში ბაგრატ მე-სამის მეფობაში სჩანს. მაგალითად, ბეშქენ ჯაყელი, კაცი დიდათ ერთგული ბაგრატისა და საქართველოს ძლიერებისა. ამათი გვარი ჭაყელი წარმომდგარი უნდა იყოს ხეობის სახელ ჭაყიდანს, რომელი ხეობაც ყარსსა, არტაანსა და ზეგანს შუა მდებარეობდა ძველათ და ეწოდებოდა ჭაყის-ხეობა. დღეს ამ ხეობას და ადგილებს ოსმალთაგან ჭაყისმანი ეწოდება. ძველს წერილებში-კი ჭაყია მოხსენებული და ჭაყის-ციხე. დღეს ჯაყის ხეობის ქართველობა მთლათ გამაჰმადიანებულია და ქართველებისა აქ ყველაფერი მოსპობილი. ბევრს საეჭვოთაც მოაჩნიათ ის, რომ ვითომც ჭაყისმანი ქართულია, ოსმალური კგონიათ, თვით ათაბაგებიც ასევე ფიქრობენ. დავით აღმაშენებლის დროს სჩანს ათაბაგი განძისა და რანისა და თამარ მეფის დროს კი იწყება ბრწყინვალე ხანა ამათი. ესენი გამოდიან საქართველოს სამეფო ასპარეზზე და ბრწყინვალეთ იწყებენ სამსახურს. ამ დროებაში ჯაყელის გვარის წევრებმა ისე ისახელეს, ისე დაიმსახურეს პატივი მეფისა და ქვეყნის წინაშე ერთგულებით და სამსახურით, რომ მეფემ ესენი საქართველოში ყველა თავადისშვილებზე მაღლა დააყენა და ჯეროვანი პატივი მისცა. ამ პირების საქმე ისე მოიმართა, რომ მაღლე ესენი განაგებდნენ მთელის კლარჯეთ-მესხეთის საქმეებს.

აქ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვით არ მოვიხსენოთ ის, თუ რას ნიშნავს ათაბაგი. ბ. ნ. ხიზანაშვილი თავის საფუძვლიანს გამოკვლევაში სწერს, რომ ათაბაგობა „მამა-მძუქუბას“ ნიშნავს, ე. ი. აღმზრდელობას. ესენი აღზრდილდნენ მეფეთა ვაჟისშვილებსაო. პირველ საუკუნოებში ათაბაგებს მამა-მძუქე ეწოდებოდათ და XII საუკუნის შემდეგ კი ათაბაგი დაერქვაო. თათრულათ „ათ“ ცხენს ჰქვიათ და „ბეგ“ უფროსს, ჩვენის ფიქრით „ათა-ბეგ“ ქართულათ ნიშნავს ცხენთა მეუფროსეს და ამას ყოველი თათარიც იტყვის. ათაბაგს ჩახრუხადეც მოიხსენიებს*), ამის მოხსენებიდამ სჩანს, რომ მის დროს ახალად უნდა ყოფილიყო ეს სიტყვა საქართველოში შემოსული. არჩილ მეფეც ასე იხსენიებს ათაბაგობას:

„მე მის სახელსა არ ღირს ვარ, პატივ მეც ათაბაგობით, აქ არ ყოფილა, მაგრამე სულთანს ჰყავს გამზრდელ მამობით“ (**).

ეს ცნობები უეჭვოთ აქეშმარიტებენ ბ. ნ. ხიზანაშვილის ცნობებს. მოგვითხრობენ, რომ ათაბაგი იქამდის იყო წინ წასული და ამაღლებული, რომ აღრე სამეფო სპასალარი სპასალარად კი არ იწოდებოდა, არამედ ათაბაგათაო. ეს აზრი დ. ბაქრაძემ ცოტა საეჭვოთ მიიღო. ამან გვარიანი საზღვარი დასდო ამ ორს სახელს შუა. „ქართლის ცხოვრების“ სიტყვით „იყო ათაბაგობა უმეტეს სხვათა ერისთავთა განდიდებულ, ავად, რომელი სპასალარისაგან ათაბაგი იქმნა“. ასევე ვხედავთ, რომ გიორგი ბრწყინვალემ სარგის ჯაყელს ათაბაგობა და ამირ-სპასალარობა მისცა. კარგათ სჩანს, რომ ათაბაგი ერთსა და იმავე დროს გარეე იყო კლარჯეთისა და სპასალარი მთელის საქართველოს სამეფოისა. ნ. ხიზანაშვილის მოწმობით ათაბაგობა საქართველოში ვითომც სულუ-

*) ჩახრუხადის ჰოემა, 1882 წ. ტფილისი.

***) არჩილიანი, 1888 წ. ქუთაისი.

კების მიბაძვით შემოაუღლიათ. ვიდრე საქართველოს ერთი მეფე ჰყავდა, მინამდის ათაბაგნი საქართველოს მეფის ბრძანების და გამგეობის ქვეშ იყვნენ, ხოლო როცა ჩვენდა საუბედუროთ საქართველო სამ სამეფოდ გაიყო და ხუთ სამთავროთ, მაშინ ერთ უპირველეს სამთავროთ კლარჯეთ-მესხეთი იქმნა ცნობილი და ამის მთავრათ ათაბაგნი ჯაყელნი, რაისა გამოხსენებული მხარე საბერძნეთის და არმენიის საზღვრებამდე სამცხე-საათაბაგოთ იქმნა წოდებული. საათაბაგოს საქმე შემდეგ ისე წავიდა და ათაბაგნი ისე მოსცილდნენ მეფეს, რომ ესენი სრულიად აღარ ემორჩილებოდნენ მას, ესენი მეფის მსგავსადაც ეკურთხებოდნენ და ისე მიიღებდნენ ათაბაგობას. საათაბაგო საბატონიშვილო სამთავროს წარმოადგენდა. იგი ყველა სამთავროებზე მაღლა იდგა, ყოველი კითხვა პირველათ ათაბაგთ ეკითხებოდათ. ყველაფერში პირველნი ესენი იყვნენ და მართლაც პირველს დროებში ესენი რიგიანთაც მოქმედებდნენ. ამათ ბევრი რამ შეჰმატეს განცალკევებულს საათაბაგოს, ბევრს ალავას ბევრი ციხე-სიმაგრეები ააგეს და გზები მომართეს მტრის დასახვედრათ. ამ გამოჩენილი გვარის წევრთაგან ბევრი შესანიშნავი გმირები გამოვიდნენ და გმირებთა შორის ბრძენი და მწიგნობარი კაცებიც, თვით კანონმდებელიც. ამათ მყოფობასთან და მოქმედებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული მთელი საათაბაგოს ისტორია.

პირველ ხანებში სამცხის ათაბაგნი ძრიელ ერთგულათ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, საქართველოს მეფეს ძრიელ ერთგულათ ემორჩილებოდნენ და მსახურებდნენ, მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მით ათაბაგთა ლალი კონება უფრო ლაღდებოდა და ამის მეოხებით მათში იზადებოდა კაცის უფროს მეძიებელი აზრები და მტრობა. ერთ მცირე რამ წყენის გამძი. ესენი გონებისაგან იკარგებოდნენ, მტერობით აღარ იცოდნენ რა ჰქმნათ, რა მოეხერხებინათ. ერთ ებრალო რამე წყენას არავის დაუთმობდნენ, მეფის ბრძანების აღსრულებას ზურგს უჩვენებდნენ. ჩვენც ისეთივე მეფენი და მბა-

ნებელნი ვართ, როგორც თქვენაო. ამავების მეოხებით ქართველთ დიდებულთა შორის დამკვიდრდა ერთმანერთის მტრობა, ლალატი, უთანხმოება და უკანასკნელ ერთმანერთის ჭლეტა-წყვეტა უკანონოა. ამან დაღუპა საქართველო, ამან დადაგა საქართველო, ამან აწამა წამებული და ტანჯული ქართველობა და ამანვე დაუგდო ქართველობას შემდეგშია ც ტანჯვა-წვალება. ჯაყელი, როგორათაც ერთგულებით აღმოსჩნდნენ პირველ ხანებში და საქართველოსაც ერთგულათ ემსახურებოდნენ, ისევე შემდეგ დროებშია ც პირველათ ამათ უღალატეს საქართველოს, პირველათ ესენი აღმოსჩნდნენ ქართველთ მტრათა, პირველათ ამათ ჰყვეს ქართველობაზე უარი, პირველათ ესენი განუდგნენ მეფეს, ქვეყანას, ერს და ერთობას, დროის მეოხებით უარ-ჰყვეს თვით სჯულიც, სამშობლო ენა და მწიგნობრობაც. პირველად ამათ იწყეს ქართველ გვარის წინაშე წინააღმდეგობით ლალატი და მტრობა, ესენი დროის ამყოლნი გარდაიქცნენ თურმე. ვიდრე საქართველო ძლიერი იყო, მინამ ქართველთა მომხრენი იყვნენ და როცა კი ამათ ქართველებს უძლურება შეამცნიეს და ახვათა გაძლიერება, მაშინ ამათ სხვებს დაუკრეს თავი და დაემორჩილნენ დიდის სიმდაბლით და თავის მოკატუნებით. ეს სენი ჩვენს კეთილშობილებს დღევანდლამდე შერჩათ და ესენი გაყიდულ არიან ძავიანთის წოდების წარმომადგენლობის მეოხებით. გავანებოთ ამაზე საუბარს თავი, რომ შვიტხველის გული უფრო სამწუხარო ცნობებით არ აღვაავსოთ და ახლა შევეხოთ კლარჯეთ-მესხეთს და მის წარმომადგენთ ათაბაგთა გვართა წევრთა ცნობებსა.

საქართველოს და სომხეთის ისტორიულ წყაროების ჩვენები ჯაყელის გვარი ერთობ ძველის დროიდგან სჩანს საქართველოში. მოგვითხრობენ, რომ მესროპმა სომხურ ანბანის წედგენის შემდეგ ქართულ ანბანის შედგენის საქმეს მოჰკიდა ხელიო და მან ქართველის მსწავლულის ჯაყელის დახმარებით შეადგინა ქართული ანბანიო. თუმცა ეს ცნობა ჩვენ

კების მიბაძვით შემოაუღლიათ. ვიდრე საქართველოს ერთი მეფე ჰყავდა, მინამდის ათაბაგნი საქართველოს მეფის ბრძანების და გამგეობის ქვეშ იყვნენ, ხოლო როცა ჩვენდა საუბედუროთ საქართველო სამსამეფოდ გაიყო და ხუთ სამთავროთ, მაშინ ერთ უპირველეს სამთავროთ კლარჯეთ-მესხეთი იქმნა ცნობილი და ამის მთავრათ ათაბაგნი ჯაყელნი, რაისა გამოხსენებული მხარე საბერძნეთის და არმენიის საზღვრებამდე სამცხე-საათაბაგოთ იქმნა წოდებული. საათაბაგოს საქმე შემდეგ ისე წავიდა და ათაბაგნი ისე მოსცილდნენ მეფეს, რომ ესენი სრულიად აღარ ემორჩილებოდნენ მას, ესენი მეფის მსგავსადაც ეკურთხებოდნენ და ისე მიიღებდნენ ათაბაგობას. საათაბაგო საბატონიშვილო სამთავროს წარმოადგენდა. იგი ყველა სამთავროებზე მალლა იდგა, ყოველი კითხვა პირველათ ათაბაგთ ეკითხებოდათ. ყველაფერში პირველნი ესენი იყვნენ და მართლაც პირველს დროებში ესენი რიგიანათაც მოქმედებდნენ. ამათ ბევრი რამ შეჰმატეს განცალკევებულს საათაბაგოს, ბევრს ალაგას ბევრი ციხე-სიმაგრეები ააგეს და გზები მომართეს მტრის დასახვედრათ. ამ გამოჩენილი გვარის წევრთაგან ბევრი შესანიშნავი გმირები გამოვიდნენ და გმირებთა შორის ბრძენი და მწიგნობარი კაცებიც, თვით. კანონმდებელიც. ამათ მყოფობასთან და მოქმედებასთან მჭიდროთ არის შეკავშირებული მთელი საათაბაგოს ისტორია.

პირველ ხანებში სამცხის ათაბაგნი ძრიელ ერთგულათ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას, საქართველოს მეფეს ძრიელ ერთგულათ ემორჩილებოდნენ და მსახურებდნენ, მაგრამ რაც ხანი გადიოდა, მით ათაბაგთა ლალი კონება უფრო ლაღდებოდა და ამის მეოხებით მათში იბადებოდა კაცის შურის მეძიებელი აზრები და მტრობა. ერთ მცირე რამ წყენის გაძი. ესენი გონებისაგან იკარგებოდნენ, მტერობით აღარ იცოდნენ რა აქმნათ, რა მოეხერხებინათ. ერთ უბრალო რამე წყენას არავფ დაუთმობდნენ, მეფის ბრძანების აღსრულებას ზურგს უჩვენებდნენ. ჩვენც ისეთივე მფენი და მბძა-

ნებელნი ვართ, როგორც თქვენაო. ამავების მეოხებით ქართველთ დიდებულთა შორის დამკვიდრდა ერთმანერთის მტრობა, ღალატი, უთანხმოება და უკანასკნელ ერთმანერთის ჭლეტა-წყვეტა უკანონოა. ამან დაღუპა საქართველო, ამან დადაგა საქართველო, ამან აწამა წამებული და ტანჯული ქართველობა და ამანვე დაუგდო ქართველობას შემდეგშია ც ტანჯვა-წვალება. ჯაყელნი, როგორათაც ერთგულებით აღმოსჩნდნენ პირველ ხანებში და საქართველოსაც ერთგულათ ემსახურებოდნენ, ისევე შემდეგ დროებშია ც პირველათ ამათ უღალატეს საქართველოს, პირველათ ესენი აღმოსჩნდნენ ქართველთ მტრათა, პირველათ ამათ ჰყვეს ქართველობაზე უარი, პირველათ ესენი განუდგნენ მეფეს, ქვეყანას, ერს და ერთობას, დროის მეოხებით უარ-ჰყვეს თვით სჯულიც, სამშობლო ენა და მწიგნობრობაც. პირველად ამათ იწყეს ქართველ გვარის წინაშე წინააღმდეგობით ღალატი და მტრობა, ესენი დროის ამჟამინი გარდაიქცნენ თურმე. ვიდრე საქართველო ძლიერი იყო, მინამ ქართველთა მომხრენი იყვნენ და როცა კი ამათ ქართველებს უძლურება შეამცნიეს და ახვათა გაძლიერება, მაშინ ამათ სხვებს დაუკრეს თავი და დაემორჩილნენ დიდის სიმდაბლითა და თავის მოკატუნებით. ეს სენი ჩვენს კეთილშობილებს დღევანდლამდე შერჩათ და ესენი გაყიდულ არიან ძავიანთის წოდების წარმომადგენლობის მეოხებით. გავანებოთ ამაზე საუბარს თავი, რომ მკითხველის გული უფრო სამწუხარო ცნობებით არ აღვაფსოთ და ახლა შევეხოთ კლარჯეთ-მესხეთს და მის წარმომადგენთ ათაბაგთა გვართა წევრთა ცნობებსა.

საქართველოს და სომხეთის ისტორიულ წყაროების ჩვენებით ჯაყელის გვარი ერთობ ძველის დროიდგან სჩანს საქართველოში. მოგვითხრობენ, რომ მესროპმა სომხურ ანბანის შედგენის შემდეგ ქართულ ანბანის შედგენის საქმეს მოჰკიდა ხელიო და მან ქართველის მსწავლულის ჯაყელის დახმარებით შეადგინა ქართული ანბანიო. თუმცა ეს ცნობა ჩვენ

უმნიშვნელოთ მიგვაჩნია და ქართული ანბანის შედგენის საქმე მესროპზე ბევრათ უწინარეს თარნავაზე მეფეს ეკუთვნის, მაგრამ ჩვენ ეს აქ მხოლოდ მიტომ მოვიხსენეთ, რომ ამ ცნობაში ჯაყელთა გვარი მოიხსენება. ასე და ამ გვარათ სჩანს, რომ ჯაყელთა გვარი საქართველოში ერთ უძველეს გვარათ უნდა ითვლებოდეს. შემდეგ ამ მსწავლულ ჯაყელისა პირველ სახელოვან ათაბაგს ჩვენ ვხედავთ სარგის ჯაყელს, XII საუკუნეში, რომელიც თამარ მეფის თანამედროვე პირათ ირიცხება. თამარის შემდეგაც იგი ერთობ კარგა ხანს სჩანს სამეფო ასპარეზზე და „ქარდლის ცხოვრების“ ჩვენებით ეს პირი კვდება 1286 წ.! ჩვენის ფიქრით 1280 წ. უნდა შეინაცვლოს 1196 წელზე, ან 1206 წ. თორემ ზემოხსენებული რიცხვი ჩვენ შეცდომათ მიგვაჩნია, რადგანაც სარგის ათაბაგის ასეთი გძელი სიცოცხლე საეჭვოა და მასთანვე საკვირველიც, რომ კაცი სამეფო ასპარეზზე თამარ მეფის მეფობიდან მოყოლებული 1285 წ. სცოცხლობდეს. გაიდა ამისა ჩვენს ისტორიაში ერთობ არეულია სარგის ჯაყელის მოღვაწეობის ცნობები და ხშირად სარგის ჯაყელის ცნობებს სარგის მხარგრძელის მოღვაწეობის ცნობებში ჰრევენ. ჩვენის ფიქრით სარგის თმოგველი უნდა იყოს სარგის ჯაყელი, დამწერი „დილარიანისა“, რომელსაც შოთა რუსთაველიც მოიხსენებს. როგორც მოგვითხრობენ სარგისი საკმარისად განსწავლული კაცი ყოფილა, მცოდნე ბევრის სხვა-და-სხვა ენებისა. ამას დიდი სამსახური მიუძღვის საქართველოზე და ნამეტურ სამცხე-საათაბაგოს წინაშე, რადგანაც ბაგრატიონები თვის გაძლიერების შემდეგ უმეტეს ნაწილს აღმოსავლეთს საქართველოს აქცევდნენ ყურადღებას და დასავლეთი საქართველო კი ისე დასტოვეს, რადგანაც ეს მათ უფრო წინეთ აალორძინეს. ამიტომ ამათ მაგერ სამცხეს ჯაყელებმა დაუწყეს მფარველობა. სარგის ათაბაგის სიკვდილის შემდეგ ათაბაგათ იქმნა ბექა, ძე სარგის ათაბაგისა. მამასავით ესეც განაგებდა ქვეყანას, უვნებლათ ჰპატრონობდა მას და გარდაი-

ცვალა 1308 წ. ათაბაგათ ამის შემდეგ იქმნა იოვანე მეორე, კაცი მამის კვალათვე ბრძენი და საქმის კარგი მცოდნე. ეს პირი რუსუდან დედოფალსაც მოესწრა და მისგან გაგზავნილ იქმნა რომში პაპი ონორი III-ესთან, შესახებ საქართველოს სამეფოს საქმეების. ნამეტურ ქართველებისაგან ჯვაროსანთ ომში მონაწილეობის მიღების და საქართველოში კათოლიკე სარწმუნოების გავრცელების. მაგრამ ვერც ამან და ვერც სხვათა იმ დროის დიდებულთა ქართველთა ვერა ჰქმნეს-რა და საქართველოს თავის მომავალი უბედურება ვერ ააცილეს თავიდაპა, რადგანაც საქართველოს ბედმა მოუვლინა ისეთი პირნი, როგორიც იყვნენ რუსუდან დედოფალი და ლაშა გიორგი. იოანეს გადარცვლების შემდეგ ათაბაგათ იქმნა აღბუღა. მეფის გიორგის ბრძანებით 1391 წ. ეს პირიც საქართველოს ერთგულ პირათ სჩანს საქართველოს ისტორიაში. ამან დიდათ სახელოვან ჰყო თავისი სახელი, ამის ქალზე იქორწინა ბაგრატ ბატონიშვილმა, შემდეგ მეფემ საქართველოსამ. ამ შემთხვევამ დიდი ერთობა ჩამოაგდო მეფესა, მთავარსა და ორსავე კუთხის მხრის ერში, მაგრამ ჩვენდა საუბედუროთ ჩვენში მოიძებნებოდნენ თითო-ოროლა ისეთი პირნიც, რომლებიც ამ ერთობას ძირს უთხრიდნენ ხოლმე. ესენი საქართველოს ერს XIII საუკ. შემდეგ რბილსა და ძვალში გაუჯდა და ამანვე დაღუპა ჩვენი სამშობლო ქვეყანა. ამას ის მაგალითიც ამტკიცებს, რომ ოდესაც ბაგრატი ერთობას მეცადინეობდა და ამან შორეულის სამცხის მთავრის ქალი შეირთო, ამ დროს ამას აუჯანყდნენ მეგრელ-სვან-აფხაზნი, ესენი დაეცნენ იმერეთს და ქუთაისი დასწვეს, მაგრამ ბაგრატი სძლია ესენი და ყოველისფერი დააწყნარა. ამ შინაურ არევე-დარევის დროს ოსმალნი სამცხეს დაეცნენ და მთლათ მოაოხრეს, აქედამ ესენი ქუთაისზე წავიდნენ, აიღეს დამწვარ-დადაგული ქუთაისი და ამის შემდეგ გელათს მისცეს ცეცხლი და გადასწვეს. ამ დროს იმერთ დიდი გმირობა გამოიჩინეს, ამათ მთლათ გარეკეს აქედამ ოსმალნი, გადარეკეს სამცხეში და

სამცხიდამ საზღვარს გაიყვანეს. ეს მაგალითი და ოსმალთ თაჲ-დასხმა ქართველებისთვის დიდს სახელმძღვანელოთ უნდა დაშთენილიყო და მას შემდეგ ქართველნი მეტათ მტკიცე ერთობით უნდა შეკავშირებულიყვნენ, ერთმანერთზე გული და გონება უნდა დაეწმინდათ და ერთობაზე საერთო მეცადინეობას უნდა მისცემოდნენ, მაგრამ არ განვლო დიდმა ხანმა, რომ საქართველოს მოველინა საერთო უბედურების რისხვა და ამ რისხვამ შემუსრა იგი. ეს რისხვა იყო თემურ-ლენგის მოვლენა და მისგან აღმოსავლეთის ქვეყნების დაპყრობა 1377 წ. ამ დაგეშილ მტრის მოვლენამ უპირველესად სამცხე-საათაბაგო შემუსრა და დააქცივ-დაანგრია, რადგანაც საქართველოს უმთავრეს ძალათ ეს ადგილები მიაჩნდათ. ექვსჯერ დაეცნენ ესენი საქართველოს და ექვსჯერვე პირველათ სამცხეს ეცნენ, რადგანაც იმათ აქ ეგულუბოდათ ქართველთა გამოჩენილი სპა-ჯარი. ეს ასეც იყო და საქართველოსთვის იმდენი გამოჩენილი მეომარი გმირები არც ერთ საქართველოს კუთხეს არ მოუტია, რამდენიც სამცხეში აღმოაბრწყინდებოდნენ ხოლმე. ამ თავზარ დაცემის და საერთო რისხვის მოვლენის დროს დიდის გმირობით ბრძოდა ბაგრატ მეექვსე ბაგრატოვანი, რაისა გამო იგიც დიდ ბაგრატად იქმნა წოდებული, როგორც XI საუკ. ბაგრატ მეოთხე. რამდენიმე ხნის შემდეგ სოფლის საქმეებისაგან დადლილი ათაბაგი გარდაიცვალა და ათაბაგათ იქმნა ბექა მეორე. ბექას გამთავრებაც გიორგი მეფის ბრძანებით მოხდა. ამ დროებისთვის მთლათ საქართველოსთვის და ნამეტურ აჭარისთვის დიდ საჭიროებას წარმოადგენდა რიგიანი პირების ყოლა და საქმის გამაგრება, მაგრამ სამცხე-საათაბაგოს უცბათ მოველინა ოსმალი, ამათ გამართეს ომი და ომში მოიკლა მეფე გიორგი 1407 წ. რამაც თავზარი დასცა ქართველთ. ამის შემდეგ მეფეთ იქმნა მეფის ძმა კონსტანტინე. მეფე კონსტანტინე ოსმალთ წინააღმდეგ დიდის გმირობით აღშხედრდა, მაგრამ არ გავიდა დიდი ხანი, რომ 1414 წ. ოსმალებმა სამცხის ომში ეს მეფეც მოკლეს. გამეფდა

ალექსანდრე, გიორგი მეფის ძე. ამ დროს ათაბაგათ იოან იყო. ალექსანდრე მეფე რომ გამეფდა 1414—1411, ამის კურთხევაზე იოანე ათაბაგი არ დაესწრო, ესეთი საქციელი ათაბაგისა მეფეს ძრიელ ეწყინა და ამიტომ ამას პასუხი მოსთხოვა. მალე მეფემ ათაბაგს საქართველოსაგან განდგომილება შეამცნია, რადგანაც ოსმალთ ამ დროს თავიანთი ძალა გაავრცელეს დასავლეთ საქართველოზე და ათაბაგსაც სხვადასხვა საჩუქრებით ახარებდნენ. ალექსანდრე მეფე წავიდა სამცხეში, ათაბაგი დაიმორჩილა და თანამდებობიდანაც გადააყენა ორგულობისათვის. უკანასკნელ ამან შეინანა ცოდვები და მეფეს პატიობა სთხოვა. მეფემ აპატივა, ისევ მიუბოძა ათაბაგობა და თვით კი ტფილისში წამოვიდა. ეს იყო პირველი მაგალითი, რომ ათაბაგის ღალატი საქვეყნოთ გამოჩნდა. ალექსანდრე მეფე მესხეთს კი ამაგრებდა და აშოშმინებდა და მთელს საქართველოს კი ანაწილებდა და თავის შვილებს უყოფდა. ეს მეფე მოხუცებაში ბერათ შესდგა, სახელა თ ათანასე უწოდეს და მცხეთას დამკვიდრდა და აქვე დასაფლავდა. იოანე ათაბაგის შემდეგ ათაბაგათ იქმნა ძე ამისი აღბულა. ამ დროს მთელს დასავლეთ საქართველოში ანუ კლარჯეთ-მესხეთში ყველგან ქართული ენა სუფევდა სახმარებლათ. ქართველთა ძველი ეკკლესიები ამ დროადის შეურყვევლა თ იდგნენ და ყველგან წირვა-ლოცვა სრულდებოდა. აღბულ ათაბაგს ჩვენი ისტორია მეტათ ბრძენ კაცათ სახაეს და ქვეყნის ერთგულათ, მაგრამ შინაურ არეულ გარემოების მეოხებით ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ათაბაგსაც მტრობს და ებრძვის ყვარყვარე ათაბაგი, თავის სახლის და გვარის შვილი და ყვარყვარე იმარჯვებს 1447 წ. ყოველ ასეთ შინაურს ამბოხებას ჩვენ როგორც იქმნებოდა ანტიკანდით, რადგანაც ხშირათ უმიჯნობათ წაჩხუბებულნი მალეც დავშოშმინდებოდით ხოლმე, მაგრამ რაკი 1452 წ. ოსმალთ სტამბოლი აიღეს და ძველი საბერძნეთი მოსპეს, ამის შემდეგ ჩვენც დაგვატყდა მათი ზღბედურობა და ყოველ ნაირს უძლურებას და აოხრებას მივეცი თ

ოსმალთა გაძლიერების გამო აყელყელავებულთ მტერთ ქართველთა მეოხებითვე 1463 წ. მეფე გიორგი სძლიეს, ქართლი და მესხეთი და მეფის საგანძური მოაოხრეს, ათაბაგმა მეფეს მტერობა ჰყო, ამან გაიმარჯვა, თვით გაათაბაგდა, დაიამა გული და ძმის სისხლში იბანა ხელი. მტერობას ისე ჰქონდა ამის გულში ფესვი გამდგარი, რომ ამ ბოროტ მტერს ის გარემოებაც ახარებდა და ამაგრებდა, რომ 1472 წ. უზუნ-ჰასანმა საბერძნეთი სრულიად აიკლო და. მერე ეს საქართველოს შოადგებოდა, რაც უფრო დაეხმარებოდა ამის ბოროტებას. მიტომ შეება გიორგი მეფეს ფანავარზე 1465 წ. ქართველმა სძლია ქართველს, შურმა სძლია კეთილს, თვით მეფეც ტყვეთ იპყრა და პატიმარ ჰყო თავის სამარცხვინოთ და ქართველთა საენოთ და საღალიათოთ. ამ დროს ოსმალნი ტრაპიზონს მოახლოვდნენ. მალე ტრაპიზონი აიღეს და აიკლეს. აქ ამ დროს იყო ქართველთ მცხოვრებთ რიცხვი 500 კომლზე მეტი, ამათ აქ ეკლესია და სასწავლებელი ჰქონდათ, ესენი მთლათ მოსპეს. დღევანდლამდე ტრაპიზონში ქართველთა კერის ყოფნის ნიშნათ დაშთენილია ერთი ეკლესია, რომლის ქვეს ქართული წარწერებიც აქვს. გარდა ამისა ტრაპიზონში ძველათ ქართველთა ებრაელნიც ხშირათ დადიოდნენ, ამათ ვაჭრობა ჰქონდათ გამართული, საქართველოს უბედურების შემდეგ ბევრნი ქართველ ებრაელ ვაჭართაგანი იქვე ტრაპიზონში შთებოდნენ და აღებ-მიცემობდნენ, შევიწროების გამო საქართველოში აღარ ბრუნდებოდნენ. ამ ქართველთა ურიებმა ტრაპიზონის მხარეში შერყევლათ შეინახეს ქართული ენა, დღევანდლამდე ესენი ქართულს ენაზე ლაპარაკობენ. 400 წელიწადია რაც ჩვენგან მოსწყდნენ *), ნამდვილ ქართველთ კი დაკარგეს თავიანთი ენა მაჰმადიანობის მეოხებით და ამათ შეინახეს. ტრაპიზონის აღების შემდეგ ოსმალთ ნელ-ნელა იწყეს საქართველოსკენ

*) ახ. ჩუმა წერაღა «ქართველთა ესრაელნი».

წამოსვლა და წადირობა, მაგრამ ესენი ვერას აწყობდნენ, რადგანაც კლარჯ-მესხნი საოცარის გმირობით ხვდებოდნენ და გმირულათ ებრძოდნენ ოსმალთ და უკანვე აბრუნებდნენ. ოსმალნი დიდათ ჰკვირდებოდნენ ამ მთის ხალხის ასეთ მხნეობასა და რაინდობაზე.

მცირე ხნის შემდეგ გარდაიცვალა ყვარყვარე ათაბაგი ჯაყელი და ამის შემდეგ დაჯდა ძე მისი ბაადური. ბაადურის დროს ოსმალთ ტრაპიზონში ფესვი გაიღგეს და აქა-იქ ბერძნებსაც უწყეს გათათრება. ოსმალთ შესყიდვით მალე გაათათრეს ბერძნები და ამ გათათრებულთა დახმარებით დიდათ გაძლიერდნენ და განიდგეს ფესვი. ათაბაგი ყველა ამაებს მზერდა და ძლიერ ეშინოდა. ეს დღე-დღე მოელოდა ოსმალთაგან კლარჯეთის წართმევას და დაპატრონებას. ამას გარდა ამ ვაჟბატონს საქართველოს მეფის რიდიც ჰქონდა და ნამეტურ იმერთ ბატონის. ფიქრობდა, რომ ოსმალთა გაძლიერებას ესენი შეიტყობენ და მაშინათვე მოვლენ და მთავრობას წამართმევენო. ეს საქართველოს მეფეს და იმერთ ბატონს განს გაუდგა, მორიდება დაიწყო მათთან და თავის ციხე-კოშკებს ამაგრებდა. ეს თავის თავზე იყო დაიმეცებული და თუ საქმე გაუჭირდებოდა, მაშინ ამას ყველასთვის უნდა ეგო პასუხი. საქმემ ისე შეაშინა ეს პირი, რომ რადგაც გიორგი მეფის ძე უნდა ეკურთხებინათ მეფეთ, მაშინ ათაბაგს კურთხევაზე დასწრება სთხოვეს, მაგრამ ამან არ ისურვა: კურთხევაზე დასწრება, თვით არ წავიდა და არც კლარჯეთ-მესხეთის უმაღლესი სამღვდელთაგანა გაუშო კურთხევაზე დასსწრებლად. ახლად გამეფებულმა კონსტანტინემ ათაბაგის ირგულობას ყურადღება არ მიაქცია და მალე ჰკვიანის რჩევი და საუბრით ათაბაგს დაუმტკიცა ერთობის საჭიროება და სიყვარული. ათაბაგი დარწმუნდა ამაზე და მტერობას თავი გაანება. ეს გარდაიცვალა 1478 წ. ამის შემდეგ გაათაბაგდა ძე ამისი მანუჩარ პირველი.

ზ. ზ.

(შემდეგი იქნება)

მოკლე ისტორია სომხეთისა

(სენ-მარტენისა, ფრანგულიდან).

(შემდეგი *)

სომხეთის ტახტზე შემდეგ არტაშესისა ავიდა შვილი
ნისი ტიგრან II. ის ჯერ კიდევ ბავშვი იყო, როდესაც მამა
მოუკვდა. ბერძენებისა და რომაელების მწერლების თქმით,
ტიგრანი რამდენიმე ხანს ხელქვეითიც იყო პართებისა, მა-
გრამ მათი ბატონობა მას მალე მოუშორებია. ტიგრან II
ღროს სომხეთმა შესაჩინვეი ადგილი დაიჭირა აზიის უძლიე-
რეს სახელმწიფოთა შორის. მან შორს გასწია თავის სამე-
ფოს საზღვრები. ტიგრანმა, რომელსაც თან დაჰყოლოდა
ზოგი ნიჭი და საკმაოდ დიდი გამბედაობა, განიზრახა და-
მორჩილება აზიის ყველა თემებისა. მან არ იკმარა, რომ მე-
ტკვიდრობით მიღებულს სამეფოს ძალით შემოუერთა სირია
და პრავალ სხვა კუთხეები მცირე აზიისა. მიუხედა არშაკი-
დების უფროს შტოს, რომელიც სპარსეთში მბრძანებლობდა.
ტიგრანის გამბედავობა დაგვირგვინდა უბედნიერესი გამარ-
ჯვებითა. ფმარჯვებულმა ჯილდოდ მიიღო მესოპოტომია,
ადიაპანი, ჯტროპატენი და ხარისხი: „მეფეთ მეფობა“. ეს
ხარისხი მას სპარსეთის მეფეებმა დაუთმეს. ძლევა-მოსილობით
თავდასულმა ტიგრანმა დაუყოვნებლივ მიიღო თვისი მფარვე-
ლობის ქვეშ, რომაელებისგან დამარცხებული და დევნილი
პონტოს მეფე მიტრიდატი, რომელმაც სთხოვა მას მფარვე-

*) ის. „მოგზაური“, № 3.

ლობა და შემწეობა. მაგრამ ყოველი შრომა ტიგრანისა უბედურის მიტრიდატის სახსნელად უნაყოფო გამოდგა. რომაელების იარაღმა აღგავა პირისაგან ქვეყანისა ტიგრანის ძლევა-მოსილობა. დამარცხდა ამაყი ტიგრანი და იძულებული შეიქმნა ხელი აეღო ყველა მის-მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე. ახლა იგი შეეკრა სამარცხენიო პირობით მისგან შეურაცხყოფილ მეზობელს მეფეებს და უარ-ჰყო ბრწყინვალე ხარისხი: მეფეთ მეფობა, რომელიც უსამართლოდ მიითვისა. ტიგრანმა დიდხანს იმეფა. მის შემდეგ გამეფდა შვილი მისი არტავაზდ. ცნობილია, თუ როგორ შეიქნა არტავაზდი მსხვერპლი მარკანტონის ვერაგობისა. მარკანტონმა ლალატით დაატყვევა არტავაზდი, ვითომც უკანასკნელი მას სპარსელ არშაკიდებთან ბრძოლის დროს საკმარისი ერთგულებით არ ემსახურა. არტავაზდი მარკანტონმა წაიყვანა ალექსანდრიაში, სადაც მას კლეოპატროს ბრძანებით თავი მოჰკვეთეს. ამის შემდეგ სომხეთში გამეფდა შვილი კლეოპატრასი და ანტონისა ალექსანდრე, რომელიც სომხებმა ძლიერ მალე განდევნეს.

ამის შემდეგ სომხეთი წელში ველარ გაიმართა. ტიგრანის შემდეგ სომხეთის მეფენი შეიქმნენ უბრალო სათამაშო მათი მონათესავე პართის მეფეებისა და რომაელთა პოლიტიკისა. ისინი იყვნენ ძალაუვნებური მოწმე მისა, თუ როგორ ანადგურებდა მათ საბრძანებელს მუდამ ჟამს ეს ორი მეტოქე. მეტად ბედნიერად მიაჩნდათ თავისი ლაღი, თუ კი როგორმე მოახერხებდნენ რომელიმე მეტოქის ზეზღუნწითების ქვეშ დამცირებული ტახტის შერჩენას. თვით მდებარობა სომხეთისა პართთა და რომაელთ შორის, მისი შინაგანი წყობილება და განსაკუთრებული ფიზიკური აგებულება ამ ქვეყნისა ხელს უშლიდნენ სომხეთის მეფეებს, შეეძინათ იმდენი ძალა, რომ უცხოელებში მორიდება აღეძრათ თვისდამი და ან შემოსევის დროს ჯეროვანი პასუხი გაეცათ. სომხეთის მეფეებს ეკავათ საკმაროდ ვრცელი არც. მათთვის მთელი სომ-

ხეთის საბოლოოდ დაფლობა ყოველად შეუძლებელი იყო. სომხეთი დასერილია ღრმა ღელეებით და მალალი მთებით. ამ გვარად, პირველად თვით ბუნება უშლიდა ხელს ერთ მთავრობის დამყარებას და მერე კი მრავალ-რიცხვოვანი და გამძლავრებული დიდკაცობა. უმეტესი ნაწილი ქალაქებისა და მაზრებისა დიდკაცობის სრულს კუთვნილებას შეადგენდა. სომხეთის დიდკაცობას მეფესთან ვასსალური დამოკიდებულება ჰქონდა. ის იმდენად ემორჩილებოდა და აფასებდა მეფის უფლებას, რამდენადაც სასურველი და სასარგებლო იყო მისთვის. ის თითქმის მუდამ მზად იყო ხელი მოეწყო ვარგეშე მტერისთვის მამულის საწინააღმდეგოდ. დიდკაცობა საწინლად გამრავლდა სომხეთში. მეოთხე საუკუნეში ქრისტიანს აქვთ სომხეთში ას-სამოცდა-ათი სამთავრო გვარი ითვლებოდა. ამათში წმინდებით ზოგიერთები თვით მეფესაც არ ჩამოუვარდებოდნენ. როდესაც ოკტავიმ დაამარცხა აქციუმის ომში მარკანტონი, სომხეთის მეფენი, არტავაზდის გვარისანი; მანამდე სპარსეთის არზაკიდებთან შეხიზნულნი, ხელახლად დაბრუნდნენ სომხეთში პართიის ჯარებით. არტაქსიამ (სომხურად არტაშეს) დაიდგა მეფის გვირგვინი. მისი მეფობა არ იყო ხანგრძლივი. აგვისტოს კეისარის ბრძანებით ტიბერიმ ჩამოართვა არტაქსიას მეფის გვირგვინი და უბოძა მის ძმას ტიგრანს. ტიგრანმა მალე უღალატა თვისს კეთილისმყოფელსა. იგი მიემხრო პართებს. რომის ჯარი გამოვლანაშქრა უმადურის დასასჯელად. მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა ტიგრანი აუცილებელი სასჯელისაგან. ტიგრანის შემდეგ სომხეთი ისევ შეიქმნა მსხვერპლი ათასგვარი უბედურებისა. სომხეთის ტახტზე ერთი-მეორის შემდეგ ადიოდა მთელი ბრბო არზაკიდებისა და სხვა გვარის მეფეებისა. ამ დროს სომხეთი წარმოადგენდა ბრძოლის ველს. აქ აზიაში ბატონობისათვის თავ-განწირულად ებრძოდნენ ერთმანეთს რომაელები და პართები. ყოველი გარემოება ამ ომებისა მშვენიერად აქვთ აწერილი ბერძნებისა და რომაელების მწერ-

ლებსა. ვანსაკუთრებით ვრცლად მოგვითხრობს მაწინდელს ამბებს თვის ისტორიაში ტაციტი. ტაციტი გვიამბობს კობ-ბუღიონის ბრწყინვალე გამარჯვებებსა, ფარსმანის, საქარ-თველოს მეფის ძლიერებასა, მიტრიდატის, ფარსმანის ძმის, სომხეთის ტახტზე ასვლასა და მის უბედურს პოლოსა, ფარ-სმანის შვილის რადამისტის ბრწყინვალე ომებსა, ნიქიერებას, შეუბრალებლობას, უბედურებათა და ბოლოს ტირიდატის, პართიის მეფის ვოლოგეზის ძმის, სომხეთში გამეფებას, რომ-ლითაც ბოლო მოეღო სომხეთის ტანჯვასა.

მ. ჩოკოვაძე.

ხეთის საბოლოოდ დაფლობა ყოველად შეუძლებელი იყო. სომხეთი დასერილია ღრმა ღეღეებით და მაღალი მთებით. ამ გვარად, პირველად თვით პუნება უშლიდა ხელს ერთ მთავრობის დამყარებას და მერე კი მრავალ-რიცხვოვანი და გამძლავრებული დიდკაცობა. უმეტესი ნაწილი ქალაქებისა და მაზრებისა დიდკაცობის სრულს კუთვნილებას შეადგენდა. სომხეთის დიდკაცობას მეფესთან ვასსალური დამოკიდებულება ჰქონდა. ის იმდენად ემორჩილებოდა და აფასებდა მეფის უფლებას, რამდენადაც სასურველი და სასარგებლო იყო მისთვის. ეს თითქმის მუდამ მზად იყო ხელი მოეწყო ვარემე მტერისთვის მამულის საწინააღმდეგოდ. დიდკაცობა საწინააღმდეგოდ გამრავლდა სომხეთში. მეოთხე საუკუნეში ქრისტეს აქვთ სომხეთში ას-სამოცდა-ათი სამთავრო გვარი ითვლებოდა. ამათში წეძლებით ზოგიერთები თვით მეფესაც არ ჩამოუვარდებოდნენ. როდესაც ოკტავიმ დაამარცხა აქციუმის ომში მარკანტონი, სომხეთის მეფენი, არტავაზდის გვარისა-ნი: მანამდე სპარსეთის არზაკიდებთან შეხიზნულნი, ხელახლად დაბრუნდნენ სომხეთში პართიის ჯარებით. არტაქსიამ (სომხურად არტაშეს) დაიდგა მეფის გვირგვინი. მისი მეფობა არ იყო ხანგრძლივი. აგვისტოს კეისარის ბრძანებით ტიბერიმ ჩამოართვა არტაქსიას მეფის გვირგვინი და უბოძა მის ძმას ტიგრანს. ტიგრანმა მალე უღალატა თვისს კეთილისმყოფელსა. იგი მიემხრო პართებს. რომის ჯარი გამოეღალატა უმადურის დასასჯელად. მოულოდნელმა სიკვდილმა იხსნა ტიგრანი აუცილებელი სასჯელისაგან. ტიგრანის შემდეგ სომხეთი ისევ შეიქმნა მსხვერპლი ათასგვარი უბედურებისა. სომხეთის ტახტზე ერთი-მეორის შემდეგ აღიოდა მთელი ბრბო არზაკიდებისა და სხვა გვარის მეფეებისა. ამ დროს სომხეთი წარმოადგენდა ბრძოლის ველს. აქ აზიაში ბატონობისათვის თავ-განწირულად ებრძოდნენ ერთმანეთს რომაელები და პართები. ყოველი გარემოება ამ ომებისა მშვენიერად აქვთ აწერილი ბერძნებისა და რომაელების მწერ-

ლებსა. ვანსაკუთრებით ვრცლად მოგვითხრობს მაშინდელს აშშებს თვის ისტორიაში ტაციტი. ტაციტი ვვიამბობს კორპულიონის ბრწყინვალე გამარჯვებებსა, ფარსმანის, საქართველოს მეფის ძლიერებასა, მიტრიდატის, ფარსმანის ძმის, სომხეთის ტახტზე ასვლასა და მის უბედურს ბოლოსა, ფარსმანის შვილის რადამისტის ბრწყინვალე ომებსა, ნიჭიერებას, შეუბრალებლობას, უბედურებათა და ბოლოს ტირიდატის, პართიის მეფის ვოლოგეზის ძმის, სომხეთში გამეფებას, რომლითაც ბოლო მოეღო სომხეთის ტანჯვასა.

მ. ჩოვავაძე.

კონსტანტინე იაკობის ქმ ზუბალაშვილი

და მასა გვარას შტო (იხ. „მოგზაური“ 1901 წ.).

ამ შტოს (გენეალოგიის) დაბეჭდვა ჩვენ მით უფრო განვიზრახეთ, რომ იგი ერთის მხრით რთულს საგანს წარმოადგენს. ასეთის შრომის პირ-ნათლად შესრულება ქართულის ისტორიულის მწერლობის ასპარეზზედ ფრიად ძნელი გახლავთ, რადგანაც დღესაც ჩვენდა სამწუხაროდ არ გვაქვს შეკრებილი სხვა-და-სხვა ღირს-შესანიშნავი და მასთან მეტად საჭირო ისტორიული და ეტნოგრაფიული ცნობები. რაც შეეხება ჩვენის ერის რომელიმე გვარის გენეალოგიის შედგენას, ეს ხომ თითქმის შეუძლებელი საქმეა. ძნელია მეტად, რომ რომელიმე გვარის წევრთა ისტორია და გენეალოგია დაიწეროს და აინუსხოს იმ სახით და სისწორით, რომ მასში რამე ნაკლი არ იყოს. ეს არამც თუ მარტოდ ჩვენში, არამედ ზვით ევროპის განათლებულს ერთა შორისაც მოხდება, სადაც მწერლობის და ისტორიის მასალები უდიდესად ბრწყინავს.

ამიტომ ნურავინ დაგვდებს ბრალს, თუ ჩვენს ისტორიულს და გენეალოგიურს შრომაში შეცდომები შეგვეპაროს. ვიმედოვნებთ, რომ ყველა ეს ნაკლი შევსებული იქმნება შემდეგში, როდესაც ეს ისტორიული გამოკვლევა და გენეალოგია ცალკე წიგნათ დაისტამბება. იმედი გვაქვს, რომ ამ შტოს განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევენ ის პირნი და ნათესაენი ამ გვარისა, რომელთაც უფრო დაწვრილებით იციან ცნობები და გარდმოცემანი განვლილ დროთა მცხოვრებ მამა-პაპათა შესახებ. „მოგზაურში“ დაწყობილის ჩვენის წერილის გაგრძელების ბეჭდვა მიტომ დაგვიგვიანდა, რომ მასალათა განხილვამ ბევრი მოგზაურობა მოგვთხოვა, სხვა-და-სხვა ცნობა-

თა კრება, ანუსხვა, განხილვა და შემუშავება, რაც მოკლე დროის განმავლობაში ეს ყველგან და ყველასთვის შეუძლებელია *).

ზ. ზ.


*) ჩვენ ვნახეთ ფრცვლი შრომანი ბ-ნ ზ. კაკანასკისა კერძო ზუბალაშვილების გვარის და საზოგადო ქართველ კათოლიკეთა შესახებ. უველა ამით დიდი მნაშენელობა აქვს ჩვენის წარსულის შესწავლაში, რადგანაც მათში მოყვანილი ცნობანი ადგილობრივ არიან შეკრებილნი მთელის ჩვენის ქვეყნის უშორეს ვუთხეებში, სადაც იშვიათად მოხვდება ჩვეულებრივი მწერალი. აი სია ამ შრომათა:

- 1) კათოლიკეთა ეკლესია საქარ-გეგლაში (180 გვ.).
- 2) ისტორია ქართველ-კათოლიკეთა.
- 3) კონსტანტინე იაკობის ძე ზუბალაშვილი.
- 4) ქართველ კათოლიკეთა მოღვაწე ივანე გვარამაძე (ვანუე მესხი).
- 5) ისტორია ქართველ კათოლიკე ხურსიძის გვარისა, შოთა რუსთაველი და ზარზმის წარწერა.
- 6) მწიგნობარ-მთარგმნელ-მქადაგებელ-მოდგარნი ქართველ-კათოლიკეთა 1620 წლიდან.
- 7) დაბა-სოფლები და ქალაქები, სადაც ძველად და დღეს ქართველ კათოლიკენი სცხოვრობენ.
- 8) საქარია განაშვილის და დავით შდვდლის კამათი ანტონ კათალიკოსის გაფრანგების შესახებ 1760 წ.
- 9) არქიმენდრიტა ზავლე შაჩუელიანი (ჭილიმუზაშვილი) და მის დროის ქართველ კათოლიკეთა საეურადღებო ცნობანი 1769 — 1855 წ.
- 10) სომხებისგან კათოლიკეების დევნა და კათოლიკეების გრიგორიანებაზედ გადასვლა ქ. ქუთაისს და სხვანი. რედ.

შთამომავლობა კ. ი. შუბლაძევილისა.

XVII ს.

შურაბია და ცოლი ამისი მარიაძა.



ივრონიძე, ივანე, მარიაძე.
 დ. 1745 წ. დ. 1747 წ. დ. 1750 წ.
 ც. ამისი ანსა, † 1802 წ.

აკობა, მიქელა.
 დ. 1792 წ. † 1864 წ.
 ც. ამისი ანსა, † 1864 წ. შაქარაა.
 თამა.

ლეონი, დ. 1812 წ.
 კონსტანტინე, ალექსანდრე.
 დ. 1829 წ. † 1901 წ.
 ც. ამისი ელისაბედი,
 დ. 1834 წ. † 1894 წ.

გიორგი. დავითი.
 სიმონი. ანტონი.
 იოსები. ნიკოლოზი.
 ნიკოლოზი. ალექსანდრე.
 ლეონი

იულია, ანსა, მარიაძე,
 მეუღ. თ. თუმანოვის, მეუღ. ბეზირგანოვის, მეუღ. ზუბალოვის,
 დ. 1852 წ. დ. 1870 წ. დ. 1874 წ.

ბიბლიოგრაფია

სალიტერატურო ქართული

(სალექსონ სუნდაძის გამოკლევად).

ჯერჯერობით ქართული საგრამატიკო ლიტერატურა ძალიან ნაკლებ შემუშავებულია. ეს მით აიხსნება, რომ არავითარი ქართული ენის შესახები სპეციალური გამოკვლევა, არც დიალექტოლოგიური შრომა, ცნობილ გრამატიკებს გარდა, რომლებიც საზოგადოდ, როგორც გრამატიკული სქემების, ისე თერმინოლოგიის მხრით, რუსული ენიდან ქართულზე უბოდიშო თარგმანს წარმოადგენს, არ არსებობს. აქიდან ადვილი წარმოსადგენია ის ძნელი მდგომარეობა, რომელშიაც ჩაყენებულხა ქართული ენის მასწავლებელი, რომელსაც არ შეუძლიან ენის ამა თუ იმ ფორმაზე სწორი წარმოდგენა იქონიოს. ამისთანა მდგომარეობაში სწორედ დაჭირების ტალკვესია ისეთი კეთილსინიდიისიერი შრომა, როგორიც არის ბ. ხუნდაძის სალიტერატურო ქართული. „სალიტერატურო ქართულის“ ავტორი სცდილობს შეძლებისდაგვარად გაამარტივოს და გააკეთილხმოვანოს სალიტერატურო ქართული ენა, ამისათვის გვაწოდებს საბუთებს, რომლების მიხედვით შესაძლებელი ხდება სალიტერატურო ენის გამარტივების და გაკეთილხმოვანების დაკანონიერება. სალიტერატურო ქართული თავიდან ბოლომდე სიამოვნებით იკითხება, მაგრამ ზოგჯერ გვხვდება ისეთი ადგილები, რომლებიც ფაქტების მიხედვით არ მართლდება. ამის მიზეზი ჩვენი აზრით ისიც უნდა იყოს, რომ ბ. ხუნდაძის შრომას ცალმხრივი და არა წმინდა მეცნიერული ხასიათი აქვს, ამიტომ

მე განვიზრახე გამოვესაუბრო პატივცემულ ავტორს მისი შრომის ზოგიერთი ადგილის შესახებ.

სალიტერატურო ქართულის მე-12 გვერდზე ვკითხულობთ: „არის კანონი, რომელიც გვაცნობებს, რომ მხოლოდითი რიცხვის სამ ბრუნვაში: ნათესაობითსა, მოქმედებითსა და ვნებითში და პირველი დაბოლოების (ები) მრავლობითი რიცხვის ყველა ბრუნვაში იკარგება ძირის ხმოვანები: ა, ე, ო, იმ არსებით სახელებში, რომელსაც აქვს რომელიმე ამ დაბოლოებათაგანი: ალი, ამი, ანი, არი, ელი, ემი ენი, ოლი, ომი, ონი, ორი“. იმავე გვერდზე ავტორი ასე შენიშნავს: „ზემორე ხსენებულ კანონს ემორჩილება სამ ან მეტ მარცვლოვანი სახელები“-ო.

ჩემი აზრით ეს არ არის შესაწყნარებელი: ამ კანონზე დაბოლოებას არავითარი გავლენა არა აქვს. აქ ჩვენ გვაქვს საქმე ისეთ არსის სახელებთან, რომლებიც მიმღეობისაგან არის წარმომდგარი. საზოგადოდ მიმღეობისაგან, (უმეტეს ნაწილად აწყობადროის მესამე პირისაგან) წარმომდგარი არსის სახელი ისეთი თვისებისაა, რომ ორივე უკანასკნელი მარცვალი გახსნილი აქვს ¹⁾ და ბოლოვდება ისეთი ადვილი გამოსათქმელი და მკურავი ასოებით, როგორცაა ლ, რ, ნ. ამის მიხედვით სულ ერთია, რა მარცვლოვანიც უნდა იყოს არსის სახელი, მაინც კარგავს. ამ ნაირად ამ კანონს ექვემდებარება ისეთი არსის სახელები, რომლებიც მიმღეობისაგან წარმომდგარან, დაუკარგავთ თავდაპირველი მნიშვნელობა და არსის სახელებად ქცეულან და ფონეტიკის მოთხოვნილებისამებრ შეუტვლიათ ძველი მიმღეობის სახე. ამათ მიმხრობია ის უცხო ენიდან შემოდებული არსის სახელები, რომლებსაც თავისი ფორმით მიმღეობისაგან წარმომდგარი სახელების მკაცრი ხასიათი აქვს ²⁾.

1) კურდღელი, კურ-დახურული მარცვალი; რადგან უნი კ-სა და რ-ს შუა მამწევადეული, დღე კი — გასსნილი.

2) მაკრატელი, კორკაშელი და სხვ.

ან კანონს არ ექვემდებარება ის არსის სახელები (იმთავან, რომლებსაც რომელიმე ამ დაბოლოებათაგანი აქვთ), რომლებსაც შკაცრათ დაუცავთ მიმღეობის ხასიათი, ან არა მიმღეობისაგან შემდგარან ³⁾.

არ ემორჩილება აგრეთვე ამ კანონს ის სახელები, რომლებსაც თუმცა აქვთ ყველა ზემოხსენებული დაბოლოება, მაგრამ დაბოლოების მარცვალს წინ უძღვის იგივე თანხმოვანი, რომელიც დაბოლოებაშია, ან ფონეტიკური კანონის მოთხოვნით შეუცვლია იგი სხვა მსგავს ასოდ (ზარალი), ან და რომლებსაც დაბოლოების წინ უძღვის რომელიმე ხმოვანი. მაგალითები: მიმღეობისაგან წარმომდგარი არსის სახელები: მიმღეობა საზოგადოდ ისახებოდა მესამე პირისაგან ამნაირად: ვწერ, წერ, წერს = წერარს, ს შვიცვალა მაჩვენებელ (= ხუნდ. ჩვენებითი) „არსის ნაცვალად“ ხუნდ. ნაცვალ-სახეოი ⁴⁾ ე. ი. ი-ნად და გაკეთდა წერარი = თვით მოქმედების არსის ნაცვალის მან-ის პირველი ნაწილი — მ-ანი დაერთო თავში ⁵⁾ და ამნაირად შესდგა ფორმა მწერარი = მწერალი; დედალი = დედავარ, დედახარ, დედაარს = დედა-

³⁾ ნაკერა, ნაკერის (შკაცრად დაუცავს მიმღეობას ხასიათი; მო-თა-ლი (არა მიმღეობისაგან).

⁴⁾ ტურმინი „ნაცვალ სახელი“, როგორც უკანონოდ შედგენილი, ქართული ენისთვის შეუსაბამოა, ამიტომ მე ვხმარებ ტურმანს „არსის ნაცვალი“. ესევე ითქმის არსებითი სახელზედაც; დაბოლოება „თი“ ნამეტანი გავრცელებულია დღეს და წამ-და-უწუხ ხმარობს ყველა; ჩემი აზრით, არსებითი სახელი უფრო ნიშნავს საჭირო სახელს, ვიდრე არსის სახელს და, ამიტომ სჯობია, „არსის სახელი“ ვიხმაროთ.

⁵⁾ მ-ანი იხმარება შემდეგ შემთხვევებში: არსის ნაცვალეთან მე, მან, მისა, მას, მათ, ჩემი, მაგისი, მაგ, ვანმე, რამე, სდამე, მათ, მათა და სხვ. და მიმართულების მაჩვენებელ ნაწილაკებში, როგორც მაგ.: მო, მდე და სხვ.

ა= მდედაარი=მდედრი= დედალი; ცხვარი⁶⁾= ცხოვარი, როგორც მძოვარი. კედელი=კეთელი. მჭედელი (ჭედვა) და სხვა. ესენი სუყველა ჰკარგავს, ამიტომ რომ მათი დაბოლოებაც და მისი წინა მარცვლიც წარმოადგენს გახსნილ მარცვლებს, ხოლო რომლებსაც შემოუნახავს მიმღეობის მნიშვნელობა, არ ჰკარგავს, მაგ.: ნაკერი, ნაცერი (ნაკერის, ნაცერის, საცერი კი საცრის, ნაცარი—ნაცრის, ნაწერი—ნაწერის. ნაჭერი—ნაჭრის, ნაჭერი, როგორც მიმღეობა, — ნაჭერის). ხმოვანების გამოვარდნაზე გავლენა აქვს შემდეგ გარემოებას: ნათესაობის მაჩვენებელ ბრუნვას ემატება ს-ანი (ნიშანი ნათესაობის ბრუნვისა), უკანა/კენელი მარცვალი იხურება და, მაშასადამე, გძელდება, ხმის ამალღება გადადის ამ მარცვალზე, ზის გამო მის წინა მარცვლის ხმოვანი ასო სუსტდება და იკარგება. გველი= გვე—გახსნილია, ლი-ც გახსნილია, ლის კი დახურული= გვლის, მგელის=მგლის; ლის გრძელდება რის გამო მის წინა მარცვალი სუსტდება და იკარგება⁷⁾, ეს კანონი იჩენს თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მოძებნელებს ასოებს ლ, რ, ნ, მ, მაგრამ ის არსის სახელები, რომლების წინა მარცვალს ახლავს იგივე ხმოვანი,

⁶⁾ ნამდვილი ქართული სახელები მიმღეობისაგან წარმოსდგება, თითქმის სუყველა, ასე გასინჯეთ, სული-ც კი მიმღეობას „სვლა“-საგან. ბ. მარმა შეილი არაბულ სიტყვად აღიარა ერთს თავის ლექციაში და ჩვენა ეს აზრი სასატილოდ განადა, აგრევე მოექცა ჩვენს კომენტარიებს, ჩასრუხადის ტექსტისთვის, ახლა კი თავისი შრომის (тексты и разысканія по армяно-груз. фил. V) 64—65 გვერდები დაუსრულებია ჩვენი კომენტარიებით. კარგი სიკეთა!..

⁷⁾ აქვე საჭიროდ ვთვლი მოვიხსენო, რომ ამ შემთხვევაში ზიდი გავლენა აქვს ძირის ხმოვანსაც, რომელიც არ კარგავს ხმას მადლებას. ამ მარცვლდგანს აუთა, თრ მარცვლდგანს სახელებში კი მის ამადლებას ითვინებს მაჩვენებელი არსის ნაცვადი ი-ნი თავის რული დაბოლოებით ს-თი, ურამლისოდ წარმოუდგენელაა ნათესაობის მაჩვენებელი ბრუნვა. ი-ნი და უ-ნი, როგორც მძღავრი ხმოვანები, დაბოლოებას წინა მარცვალში შეურეველად რჩენა.

რომელიც დაბოლოებაშია, მაგ., ალალი, დალალი, ზარალი (იხილე სპარ. ზარარი) ან რომლებიც დაბოლოებას წინ ახლავს რომელიმე ხმოვანი, მაგ., გულის ფრიალი, ტრფიალი (მიჯნური) ზიანი არ კარგავს.

ომი-ზე არ ჰკარგავს ბევრი, მაგ.: სადგომი, საჯდომი, ბოქლომი, ბოლდომი (თევზია) და სხვა მრ. ონი-ზე არ ჰკარგავს უმეტესობა, მაგ.: კანონი, პატრონი, ყალიონი, ალიონი, ბომონი, ქორონიკონი, ტიბიკონი, ბატონი, ქალბატონი, ამსონი, საწონი, კანტონი, ლიტონი, ტელეფონი, ბუბონი, დემონი. არ კარგვენ ამ დაბოლოებით ის ორ მარცვლოვანი არსის სახელები, რომლებიც მარცვლებში თანასწორად არის დანაწილებული თანხმოვანი და ხმოვანი ⁸⁾. არი-ზე ჰკარგავს სუყველა, იმ არსის სახელებს გარდა, რომლებიც დაბოლოებას წინაუძღვის ლ, რ, და ნ-რი, მაგ.: სპასალარი, მალნარი (ავტორს მოყვანილი აქვს ზოლოდ ნექტარი) მალლარი, დაბლარი, ფიქვნარი, მუხნარი, ქნარი; ორ მარცვლოვანებში არ კარგავს, რალი-ზე დაბოლოებულები და აგრეთვე გვარი. ორი-ზე კოკორიც კი ჰკარგავს ⁹⁾, ბოკორი (ბოცვრის). ოლი-ზე ბევრი არ ჰკარგავს, მაგ.: მოწოლი, საყოლი (ავტორს აქვს მარტო საწოლი), ოროლი (საომარი იარაღია) სასროლი და სხვ. დანარჩენები ავტორს წამწამს გარდა კარგათ აქვს ნაჩვენები (მოთაღს არა აქვს მიძღვობის თვისება, რადგანაც გაქვევებული ფორმაა და შესდგება: მო, თალ და ი-საგან (ი მაჩვენებელი არის ნაცვალთა) ¹⁰⁾.

ი. აბულაძე.

(შემდეგი იქნება)

⁸⁾ ამ კანონს არ ექვემდებარება ხშირად სწავლებული სიტყვები: ბანა (ვაკე ადგილებიანი მხარე), ბრის (ამ მთის იმ ბრისო, იციან). ბლას ხეო. ურმის თვლებიო, მარჯალიტის თვლებიო, წისქვილის თვლებიო და სხვ. სულ ერთია ძვირფასი ქვები იქნება თუ სხვის რასაზე იგაღი.

⁹⁾ ავტორს გამოსარიცხავ სახელებში მოუთავსებია ეს სიტყვა.

¹⁰⁾ სპევირუელია, ავტორი რატომ არ იხსენიებს ამოსარიცხავ სახელებში ხანაჯს (ხათ.: ხანაჯის).